აქ მოვკვდები, მეტი არაფერი! A2

ამერიკელები ქართველებს ფულის გათეთრებასთან ბრძოლას ასწავლიან A3

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 22 აგვისტო, 2003 წელი. №226 (438)

ფასი 30 თეთრი

# „თელასის" და „ტელეკომის" შემდეგ პორტების ჯერი დადგება

## გრძელდება თუ არა რუსული კაპიტალის ექსპანსია?

ნანცა ქვინიკაძე

*პოლიტიკური ოპოზიცია "საქართველოს ტელეკომითა" და ტრანს-აზია-ევროპის (ტაე) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით რუსული სატელეკომუნიკაციო გიგანტის "როსტელკომის" სერიოზულ დაინტერესებაზე საუბრობს. "გაერთიანებული დემოკრატების" ინფორმაცია ქართულ კომპანიებსა და "როსტელკომს" შორის მიმდინარე მოლაპარაკებებზე ორი დღის წინ პარლამენტში კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემაც დაადასტურა. პოლიტიკოსთა აზრით ხელისუფლება, რომელსაც პოლიტიკური მომავალი, პრაქტიკულად, არ გააჩნია, საზოგადოების მხრიდან ყურადღების მოდუნების შემთხვევაში "ყველაფერს გაყიდის". ექსპერტთა შეფასებით კი თელასის - "რაო ესის", ხოლო "საქართველოს ტელეკომისა" და ტაე-ზე კონტროლის "როსტელკომის" ხელში გადასვლის შემდეგ, რუსული კომპანიებისთვის ქართული პორტების გადაცემის ჯერი დადგება.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ბურჯანაძე-დემოკრატები" - პირველი ოპოზიციური ბლოკი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ზურაბ ჟვანია მოხიბლულია ახალი ბლოკის ნომერ პირველი პერსონით.*

*"ეს გაერთიანება ჩემთვის იმდენად ახლობელი, იმდენად ძვირფასია, თქვენ ყველას შეგიძლიათ, წახვიდეთ აქედან და სააკაშვილს უთხრათ: თუ მე ვუშლი ხელს გაერთიანებას, მზად ვარ დღესვე დავტოვო ბლოკი, ოღონდ სააკაშვილი მოვიდეს და ამ ბლოკში იმუშაოს. მე ამისთვის მზად ვარ", - ჟესტი, რომელიც დავით სარალიძემ ნინო ბურჯანაძის და "დემოკრატების" ერთობლივი ბლოკის პრეზენტაციაზე გააკეთა, საკმაოდ ეფექტური იყო, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ წუთებიდან ჟვანიას და სააკაშვილის გაერთიანების შანსი საბოლოოდ გაქრა.*

ვერიკო თევზაძე

ბლოკი, რომელსაც "ბურჯანაძე-დემოკრატები" ჰქვია (იქნებ, უკვე ეს სახელწოდებაც იმას გვეუბნება, რომ ბლოკში სააკაშვილის გაერთიანება დაგვიანებულია) თავის საარჩევნო კამპანიას ზუგდიდში გახსნის. **"დიახ, ჩვენ საქმიანობას დავიწყებთ არა დედაქალაქში, არამედ იმ რეგიონში, სადაც ქვეყანაში არსებული პრობლემები ყველაზე მწვავედ იგრძნობა,"** – ასე ხსნის ბლოკის ინიციატივას მისი სულისჩამდგმელი ზურაბ ჟვანია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს ნარკოსატრანზიტო არხებს ასახელებს

*"შუა აზიიდან ევროპაში ნარკოტიკების ტრანზიტის კუთხით საქართველო ჯერჯერობით მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. თუმცა, მას გააჩნია პოტენციალი, მნიშვნელოვანი ნარკოსატრანსპორტო არხი გახდეს," - ნათქვამია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაკეთებულ დასკვნაში.*

ინგა ალავიძე

საერთაშორისო ექსპერტთა მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის შედეგად მიღებული თანხა 300-500 მილიარდ დოლარს შეადგენს.

უცხოელ ექსპერტთა მონაცემებით მსოფლიო ნარკოვაჭრობის შედეგად მიღებული სოლიდური თანხები ტერორიზმის ერთ-ერთ ძირითად დამფინანსებელ წყაროდაა მიჩნეული. 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-მ ნარკომაფიას 34 მილიონი დოლარის აქტივები გაუყინა. ანალოგიური ოპერაციები ჩატარდა მსოფლიოს 161 ქვეყანაში, სადაც მთლიანობაში 70 მილიონი დოლარი გაიყინა.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, საბჭოთა კავშირის ყოფილი ქვეყნებიც საერთაშორისო ნარკომაფიის აქტიური წევრები გახდნენ. **"ზოგიერთი ეს ქვეყანა თავისი მასშტაბით, წამყვანი ნარკომწარმოებელი და ნარკოტრანზიტის მთავარი არხი გახდა,"** – ნათქვამია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში. სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შავ სიაში შეყვანილ ქვეყნებს შორის დასახელებულია სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ებრაული ვენდეტა დაიწყო

ლევან ღირსიაშვილი

*იერუსალიმში 20 აგვისტოს პალესტინელი კამიკაძის მიერ დატრიალებული ტრაგედია ახლო აღმოსავლეთის მოვლენებზე რომ კარდინალურად იმოქმედებდა, ამას ბევრი ვარაუდი არ სჭირდებოდა. როგორც ვიუწყებოდით, იმავე დღეს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა ჩაატარა, სადაც გადაწყვეტილება საპასუხო სამხედრო დარტყმების განხორციელების შესახებ ერთხმად იქნა მიღებული. ისრაელის მინისტრებს გადაეცათ დეტალური სამხედრო გეგმა, რომელიც "ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" წინააღმდეგ საბრძოლო სპეცოპერაციების ჩატარებას ითვალისწინებს. როგორც სჩვევია, ისრაელმა სიტყვას მაშინვე საქმეც მოაყოლა. გუშინ "ჰამასის" ლიდერის ლიკვიდაციით ებრაული ვენდეტა დაიწყო.*

გაგრძელება A5 გვერდზე



REUTERS

*აბუ შანაბის მანქანა ხუთი რაკეტით გაანადგურეს.*

# ანაკლიის მოსახლეობა სუფსის სამხედრო ნაწილის წინააღმდეგ

*სოფელ ანაკლიის მოსახლეობა აღელვებულია და სუფსის სამხედრო ნაწილის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლას გეგმავს. გუშინ "24 საათს" დაუკავშირდნენ ანაკლიის მცხოვრებნი. ისინი 20 აგვისტოს სუფსის სამხედრო ნაწილში მომხდარი ფაქტის გამო აღშფოთებას გამოთქვამდნენ.*

ანაკლიელების განცხადებით, გუშინ დილით სოფელში მცხოვრებმა ჭეჟიების ოჯახმა ტრაგიკული შეტყობინება მიიღო. სუფსის სამხედრო ნაწილიდან იტყობინებოდნენ, რომ ჯარისკაცი რამაზ ჭეჟია ქუთაისის ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

**"რამაზის ცხედარი გუშინ დილით ჩამოასვენეს, ის სასტიკადაა ნაწამები. ცხედარს სიგარეტით მიყენებული დამწვრობები და ზურგში "სპიცის" დარტყმის შედეგად მიყენებული ორი ჭრილობის კვალი ემჩნევა, გადამტვრეული აქვს ფეხები. ცხედარი დასახიჩრებულია, შეგიძლიათ, ჩამობრძანდეთ და საკუთარი თვალით ნახოთ. არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ რამაზი სამხედრო ნაწილში აწამეს. მამამისს კი უთხრეს, რომ ნაწილში ცუდად გახდა, სამტრედიის ჰოსპიტალში მიგვყავდა, მაგრამ მანქანიდან გადმოგვიხტა და დაზიანებები ამ დროს მიიღოო. მთელი ანაკლია ფეხზე დგას, ამ უწესიერესი ბიჭის სიკვდილს არავის ვაპატიებთ,"** – ასეთი სამწუხარო ინფორმაციით დაგვიკავშირდნენ ანაკლიელები.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შინაგანი ჯარის სარდალი გია შერვაშიძე აცხადებს, რომ ჯარისკაცი ნაწილის კუთვნილი ავტომანქანიდან გადმოხტომის შედეგად მიღებული დაზიანებების გამო გარდაიცვალა. მან, სამხედრო ნაწილიდან ქუთაისის სამხედრო-სამედიცინო ცენტრში გადაყვანის დროს ავტომანქანაში მასთან ერთად მყოფ ზემდეგს თავში უცხო საგანი ჩაარტყა და ავტომანქანიდან გადახტა. შედეგად ის ადგილზე გარდაიცვალა.

გია შერვაშიძის თქმით, თავად ზემდეგი ამ დროისთვის თავს უკეთ გრძნობს. რაც შეეხება გარდაცვლილ ჯარისკაცს, ფეხზე ადრე მიღებული დაზიანების გამო, სამხედრო-სამედიცინო ცენტრში მისი გადაყვანა აუცილებელი იყო.

სამხედრო მოსამსახურეების საკითხებში სახალხო დამცველის თანაშემწის ნოდარ ეფრემიძის განცხადებით, **"რიგითი ჯარისკაცი, რომლის ვინაობაც ზუსტდება სატვირთო ავტომობილიდან ჩამოვარდნის შედეგად დაიღუპა. მომხდარი ინციდენტის ყველა დეტალის შესწავლა მიმდინარეობს."**

რამაზ ჭეჟიას გარდაცვალების ფაქტზე, გუშინვე, რეგიონალურ სამხედრო პროკურატურაში საქმე აღიძრა.

*24 საათი*

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | +25° |
| ბათუმი | +25° |
| სოხუმი | +26° |
| ფოთი | +26° |
| ქუთაისი | +25° |
| გორი | +25 |
| თელავი | +25° |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1400 |
| ევრო | 2.4625 |
| გირვანქა სტერლ | 3.4452 |
| რუბლი | 0.0705 |

# მორიგი უშედეგო ღამის "დოლი" პარლამენტში

*კიდევ ერთი "საპარლამენტო ღამისთევის" მიუხედავად, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, განსახილველი საკითხი ლოგიკურ დასასრულამდე მაინც ვერ იქნა მიყვანილი. ბიუჯეტის სეკვესტრის საკითხი კვლავ ჰაერში გამოკიდებული რჩება. არადა, თავიდან თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა: განხილვა დასრულდა და კენჭისყრის პროცედურა უნდა დაწყებულიყო. მაგრამ ეშმაკს არ ძინავს - ღამის ათის ნახევარზე სახელისუფლებო ფრაქციებმა ყველაფერი არივ-დარიეს. მათ "გაახსენდათ", რომ სეკვესტრის მიღებას აზრი არ ექნებოდა, თუ მასთან ერთად პარლამენტი დადებითად არ გადაწყვეტდა ფინანსთა სამინისტროსთვის საგამოძიებო ფუნქციებით აღჭურვის საკითხს. ამით დადასტურდა, რომ ყალბი ყოფილა უმრავლესობის წევრების მიერ გულზე მჯიღის ცემა, რომ ქვეყნის ბედ-იღბალი ბიუჯეტის სეკვესტრირებაზეა დამოკიდებული.*

გიორგი ასანიშვილი

ბიუჯეტის სეკვესტრის თაობაზე სამთავრობო ფრაქციებსა და ოპოზიციას "თავისუფალი" მიდგომა გააჩნიათ. ხელისუფლების მხარდამჭერი დეპუტატები მზად არიან, ხმა მისცენ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შეკვეცას, მაგრამ კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან იმას, რომ ძირითადი ეკონომიკური კანონის შეუსრულებლობისთვის მთავრობას პასუხი მოეთხოვოს. ოპოზიცია საპირისპირო გზას ადგას: მისთვის მთავარია აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრება და ნაკლებადმნიშვნელოვანია ის, მოხერხდება თუ არა სეკვესტრის დამტკიცება.

ვინაიდან არავინ არის იმაში დარწმუნებული, რომ მთელ პარლამენტზე მოახერხებს თავისი აზრის მოხვევას, ამიტომ ორივე მხარე თანახმაა, სეკვესტრზე მსჯელობა საერთოდ ჩაიშალოს, ოღონდ, ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ "დესტრუქციული ქმედებები" მთლიანად მათ ოპონენტებს დაბრალდეთ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები ამას გაცილებით "ტექნიკურად" აკეთებენ, ვიდრე სახელისუფლებო ფრაქციები.

გუშინდელ სხდომაზე სეკვესტრისთვის "წყლის შეყენებას" უმრავლესობის წარმომადგენლები დილიდანვე შეეცადნენ. მაშინ, როდესაც დებატების დასაწყებად თითქმის ყველაფერი მზად იყო, გლდანის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა თამაზ გიორგაძემ სხდომათა დარბაზი მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ სიკვდილის დასჯის შესახებ გამოთქმული მოსაზრების გარშემო დისკუსიაში ჩაითრია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უცხოელები საქართველოთი გადაიღალნენ

## ექსპერტთა რეკომენდაციებს შედეგი არ მოსდევს

ლელა მჭედლიძე

უცხოელი ექსპერტები ვიზიტებით, მართლაც, გვანებივრებენ, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ექსპერტები საკუთარი ვიზიტების უნაყოფობას ადვილად ხვდებიან.

ამის შესახებ კონრად ადენაუერის ფონდის მოწვევით საქართველოში მყოფი კიდევ ერთი ექსპერტი, "დოიჩე ველეს" მთავარი პოლიტიკური მიმომხილველი კრისტინ ტრიპე საუბრობდა. **"საქართველოს საკითხებისადმი დასავლელ ექსპერტებში აშკარად გადაღლა იგრძნობა. ეს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გარდა, იმითაც არის განპირობებული, რომ აშკარად ჩანს, ექსპერტების რეკომენდაციების უმეტესობას არანაირი განხორციელება არ მოსდევს. მიუხედავად ამისა, ქართველები ცნობისმოყვარეები არიან, დასავლეთიდან ჩამოსულ სტუმრებს ხელგაშლილად ხვდებიან და ეს საქართველოში კიდევ ერთხელ ჩამოსასვლელად გარკვეულ სტიმულს იძლევა,"** - გულახდილ კრიტიკას ექსპერტმა ქათინაურიც მოაყოლა, თუმცა ისიც აღიარა, რომ ხშირად პროგნოზებში საკმაოდ ავტორიტეტული პოლიტოლოგ-მიმომხილველებიც ცდებიან. მაგალითად, ერთი მისი ნაცნობი ექსპერტი დამოუკიდებლობის მიღებას ბალტიისპირეთის ქვეყნებზე ადრე საქართველოს უწინასწარმეტყველებდა...

"ძლიერი სახელმწიფოების ინტერესები კავკასიაში" - ასეთი იყო გუშინდელი სემინარის თემა. შორიდან მომზირალი კაცის კვალობაზე ტრიპე საკმაოდ გათვითცნობიერებული და ვითარების საღად შემფასებელი აღმოჩნდა: **"რუსეთი საქართველოს თავის უკანა ეზოდ მიიჩნევს... ჯერ კიდევ შარშან, საქართველოში ყოფნისას მივხვდი, რომ რუსი სამხედროების მიერ მშვიდობისმყოფელების როლის შესრულება ისევე აბსურდული რამ იყო, როგორც აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობა"...** გარდა ამისა, გუშინ სტუმარმა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობის ფაქტიც რუსეთის სპეცსამსახურების მუშაობას დაუკავშირა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# რუსები ამტკიცებენ, ხაბურძანია - უარყოფს

**"უხეში პროვოკაცია, რომელიც საერთაშორისო არენაზე საქართველოს დისკრედიტაციას ისახავს მიზნად,"** - ასე აფასებს ქართული მხარე სამხედრო წყაროებზე დაყრდნობით რუსული მასმედიის მიერ ბოლო დღეებში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოს ქართული ძალოვანი სტრუქტურები ტერორისტებს "იგლას" ტიპის საზენიტო კომპლექსებით ამარაგებენ. რუსული მასმედია ირწმუნება, რომ ქართველი ძალოვნები ამ საზენიტო კომპლექსს ტერორისტებზე საკმაოდ სოლიდურ თანხად ჰყიდიან.

**"ასეთი ტყუილი და საფუძველს მოკლებული ინფორმაცია საქართველოსთვის ტერორისტების მეგობარი ქვეყნის იმიჯის შექმნისათვის არის გამიზნული,"** - აცხადებს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია. მინისტრის განმარტებით ქართულ შეიარაღებაში "იგლას" ტიპის გადასატანი საზენიტო კომპლექსები საერთოდ არ არსებობს.

ვალერი ხაბურძანია მოგონილს უწოდებს და სერიოზულ პროვოკაციად ნათლავს ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში რუსეთთან არ თანამშრომლობს. **"ასეთი ბრალდებები მიუღებელია თუნდაც იმიტომ, რომ სულ ცოტა ხნის წინ რუსეთის პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა რუსეთ-საქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომლობა და ქართული სპეცსამსახურების მოქმედებები, რომელთაც მოსკოვსა და ვოლგოდონსკში საცხოვრებელი სახლების აფეთქების მონაწილე ტერორისტები დააკავეს და რუსეთს გადასცეს,"** - აცხადებს ხაბურძანია და ოთხ დღეში მოსკოვში ვიზიტს გეგმავს. **"რუს კოლეგებთან ერთად აქტუალურ საკითხებზე ვიმსჯელებ. შეხვედრების ძირითადი სასაუბრო და განსახილველი თემა კი ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემები იქნება,"** - ასეთ გეგმებს აწყობს მინისტრი.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# ქართველები აფხაზი დამნაშავეების დასჯას კატეგორიულად ითხოვენ

*უფრო და უფრო იძაბება სიტუაცია ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრებზე. აფხაზური მხარე, რუსი მშვიდობისმყოფელები და გაერო-ს მისიის წარმომადგენლები ბოლო დროს გამართულ ტრადიციულ შეხვედრებზე ქართული მხარის პრეტენზიებსა და კატეგორიულ მოთხოვნებს ისმენენ. პრეტენზიების მიზეზი კი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ბოლო დროს კატასტროფულად გახშირებული მკვლელობა-ყაჩაღობები და აფხაზ სეპარატისტთა თარეში გახლავთ.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

აფხაზური მხარე, როგორც ყოველთვის, კვლავ თავგამოდებით ირწმუნება, რომ აფხაზების მხრიდან ქართველთა შევიწროების თითოეულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, დამნაშავეებსაც იჭერენ და სჯიან კიდეც. ქართული მხარე კი კვლავ მძიმე დანაშაულებში მონაწილე აფხაზთა დაუსჯელობას აპროტესტებს და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებულ, სიტუაციის მაკონტროლებელ რუს სამშვიდობოებსა და გაერო-ს მისიის წარმომადგენლებს გამწვავებული ვითარების დარეგულირებასა და მოგვარებას სთხოვს. ეს ყველაფერი ქართული მხარის პრეტენზიებით განაწყენებული რუსი მშვიდობისმყოფელებისა და გაერო-ს მისიის წარმომადგენლების მხრიდან უკომენტაროდ რჩება. თავის მხრივ, ქართველების მიმართ პრეტენზიები ჭუბურხინჯის შეხვედრებში მონაწილე აფხაზური მხარის წარმომადგენლებსაც გააჩნიათ.

ჭუბურხინჯში გამართულ გუშინდელ შეხვედრაზე მხარეებმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მომხდარ ერთ-ერთ უპრეცედენტო შემთხვევაზე იმსჯელეს.

საქმე ეხება გალის რაიონის უშიშროების სამსახურის იზოლატორში აფხაზი ეროვნების, ვინმე თურმანოვის დაკითხვას, რომელმაც ცოტა ხნის წინ, წალენჯიხის რაიონიდან მძევლად აიყვანა ქართველი პოლიციელი. აფხაზმა სამართალდამცავებმა, მიიღეს თუ არა ქართული მხარისგან ამ ინციდენტზე ოპერატიული შეტყობინება, რუს მშვიდობისმყოფელებთან ერთად, თურმანოვის განიარაღება და დაპატიმრება მოახერხეს. მძევალი კი ჩვენების მიცემის შემდეგ გაათავისუფლეს.

ტუმანოვს ჩამოართვეს ყუმბარმტყორცნი და "აკს"-ის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი. აფხაზ ბოროტმოქმედს სეპარატისტთა კანონმდებლობის მიხედვით 5-დან 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება, თუმცა ქართულ მხარეს მის დასჯაში ეჭვი ეპარება.

გუშინდელ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ აფხაზებს კატეგორიულად მოსთხოვა 16 აგვისტოს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯიდან გატაცებული გოჩა წულაიასა და ძმები ბერაძეების გათავისუფლება. მათ გათავისუფლებაზე აფხაზურმა მხარემ გუშინ უარი განაცხადა. "მათი მძევლად აყვანა თვითმიზანი არ იყო. გალის უშიშროების იზოლატორში მათთან ერთად აფხაზი მოქალაქეც არის დაკავებული და ისინი ქართულ-აფხაზური კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან", - ასეთი არგუმენტი მოიშველია აფხაზურმა მხარემ. არძინბას ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს ყაჩაღური დაჯგუფება მხილებულია ყაჩაღობასა და ავტომანქანების გატაცებაში. მათივე მტკიცებით დაკავებისას ქართველებს ყუმბარმტყორცნები და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდათ.

გუშინ ქართულმა მხარემ გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში მოსახლეობის აწიოკება გააპროტესტა. "ბოლო დროს იქ უკვე 400-მდე აფხაზი ბოევიკი იმყოფება", - აცხადებენ ქართველები. აფხაზები კი არ უარყოფენ, რომ აფხაზ სეპარატისტთა თარეში თხილის სეზონს უკავშირდება. მათი თქმით, პრობლემას ქმნის ის, რომ ქართული მოსახლეობა თხილის გადამალვას ცდილობს, რათა მოსავალი არა გალში, არამედ ზუგდიდში ჩააბარონ.

გალშიც და ზუგდიდშიც 1 კგ თხილის ფასი 80 თეთრია. აფხაზურმა მხარემ გუშინდელ შეხვედრაზე განაცხადა, რომ თხილის ზუგდიდში გატანის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ ქართველებს არ სურთ, მოსავალი აფხაზებს ჩააბარონ. "ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ქართულმა მოსახლეობამ თხილი ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩააბაროს", - იმუქრებოდნენ გუშინ აფხაზური მხარის წარმომადგენლები.

ასეთი განცხადებებისა და დაძაბული ურთიერთობის ფონზე, გუშინ ქართველებმა კონფლიქტის ზონაში განლაგებულ გაერო-ს წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ მიმართეს თხოვნით, რომ მათ ვითარების გასაუმჯობესებლად სასწრაფოდ მიიღონ ზომები.

# აფხაზეთის საკითხი კემპ-დევიდში

ოფიციალური თბილისი იმედს გამოთქვამს, რომ კემპ-დევიდში დაგეგმილ შეხვედრაზე აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტები კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების საკითხების განხილვისას დაადასტურებენ ადრე მოსკოვის სამიტზე გამოთქმულ მზადყოფნას, საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად იმუშაონ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის და ამ მიმართულებებით კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამენ.

საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის განცხადებით, ორივე ზესახელმწიფოს ამ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გამო განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია. მენაღარიშვილმა კვლავ დაადასტურა საქართველოს ხელისუფლების პოზიცია აფხაზეთის პრობლემის ძალისმიერი გზით გადაწყვეტის დაუშვებლობის შესახებ. ამასთან, იგი მოლაპარაკებების პროცესში აფხაზური მხრიდან კომპრომისული ნაბიჯების გადადგმას აუცილებლად მიიჩნევს. **პრაიმ-ნიუსი.**

# რუსები ამტკიცებენ, ხაბურძანია უარყოფს

პირველი გვერდიდან

იმას, რომ ქართული ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები თანამედროვე იარაღით ვაჭრობაში მხილებულნი არიან, ხაბურძანია არ მალავს. **"სპეცსამსახურების თანამშრომლებმა ორჯერ გამოავლინეს თანამედროვე იარაღით ვაჭრობის ფაქტები, რომლებიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში დისლოცირებულ რუს სამხედროებს ეკუთვნოდათ. ორივე შემთხვევაში შუამავლების როლს ქართული ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები ასრულებდნენ,"** - ამბობს უშიშროების მინისტრი და ირწმუნება, რომ ისინი ამჟამად სასჯელს იხდიან.

*24 საათი*

# აფხაზებს ფოთში გემების კონტროლი არ მოსწონთ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება, დაახლოებით, ერთ თვეში დაგეგმილ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების გაერო-ს საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე ზღვაზე უსაფრთხოების მხარდამჭერი ღონისძიებების შემუშავების წინადადებას დააყენებს. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, პოლკოვნიკ გარი კუპალბას განცხადებით, თბილისი აფხაზეთისკენ მიმავალი გემების ბლოკირებით იმუქრება, მაგრამ ეს მუქარა "კარგს არაფერს მოიტანს". აფხაზური მხარე სოხუმისა და ოჩამჩირეს პორტებში მიმავალი გემების მიერ ფოთში წინასწარი შემოწმების გავლის კატეგორიული წინააღმდეგია, - აცხადებს თავდაცვის მინისტრის მოადგილე.

გარი კუპალბამ ასევე აღნიშნა, რომ სოხუმში შეშფოთებით შეხვდნენ ცნობას აშშ-ს მიერ საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახურისათვის 1 მილიონი ლარის გამოყოფის შესახებ. მისი ინფორმაციით, აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმების გამო, სანაპირო დაცვის სტრუქტურები ნაწილობრივ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. **პრაიმ-ნიუსი**

# აქ მოვკვდები, მეტი არაფერი!

## რუზგენ გოგოხია და მისი თანამოაზრენი ლონდერ ცაავას მთავრობის შეცვლას ითხოვენ

ზაზა ფაჩუაშვილი

*აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შენობის წინ ვეტერანმა მეომარმა რუზგენ გოგოხიამ და კიდევ ექვსმა დევნილმა შიმშილობის ახალი აქცია დაიწყეს. ისინი აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის შეცვლას მოითხოვენ და ამ საქმეში თანადგომას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს სთხოვენ.*


ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*ძველი თანამებრძოლები პოზიციების დათმობას არ აპირებენ.*

**"რა არის ეს?! მიტომ არ მიყვარს ინტერვიუების მიცემა. ზოგმა ასე გადაატრიალა ჩემი ნათქვამი, ზოგმა – ისე, გოგოხია ნადარეიშვილის წინააღმდეგ გამოდისო. აგერ წერია, ძმაო, ჩვენი მოთხოვნა, რომ მოვუწოდებთ ნადარეიშვილს, დაგვიდგეს გვერდში. ეს არის წინააღმდეგ წასვლა?!"** – ასეთი აღელვებული იყო გუშინ აფხაზეთის ომის ვეტერანი რუზგენ გოგოხია, რომელიც "იმელის" შენობის წინ შიმშილობის ახალი აქციის ორგანიზატორია.

- ბატონო რუზგენ, რამ გამოიწვია ეს აქცია?

**- აფხაზეთის მთავრობას ბრალს ვდებ იმაში, რომ დღეს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა შიმშილობს, ქუჩაში ყრია და მათხოვრადაა ქცეული. მინდა, რომ ამ საქმეს, ბოლოს და ბოლოს, დაესვას წერტილი. შეიცვალოს მთავრობა, მოვიდეს ახალი ხალხი, გაუსვრელი ხალხი, რომელსაც დევნილი მოსახლეობა ენდობა.**

- ყველას გადადგომას ითხოვთ?

**- დღეს ვინც არის მთავრობაში, ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ უმეტესობა, ვისაც ფინანსებზე ხელი მიუწვდება, გასვრილია და ყველაფერს თავისი პიროვნული კეთილდღეობისთვის აკეთებს. დევნილ მოსახლეობას არც კი უსმენენ. ტელეფონში ეუბნებიან - მე არა ვარ, სხვავარო, და შენობაში არ უშვებენ. აი, ეს არის! ამიტომ უნდა შეიცვალოს ეს ხალხი.**

- თქვენ ამბობთ, რომ აფხაზეთის მთავრობა ფულს არამიზნობრივად ხარჯავს?

**- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! 10 წელია, ერთ სკამზე სხედან. ამ სკამებით ხომ არ დაბადებულან. კეთილი ინებონ და შეიცვალონ, რომ უკეთესობისკენ წავიდეს საქმე. მერე შეიძლება აფხაზეთისკენაც წავიწიოთ. ნათქვამი ხოა, ახალი ცოცხი უკეთესად გვისო.**

**ახლა ვიღაცები ამბობენ, ამ მოთხოვნითო "ცხინვალიზაცია" მოხდებაო. მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, მე არ ვამბობ, რომ მთავრობა უნდა გაუქმდეს. ჩვენ მოვითხოვთ ლონდერ ცაავას მთავრობის გადადგომას და მერე, ვინც მათ შორის პატიოსანი კაცია, დაბრუნდეს თანამდებობაზე.**

- თუ მოთხოვნა არ შესრულდა?

**- მე ვაცხადებ სამდღიან შიმშილობას. ეს იქნება გამაფრთხილებელი აქცია და, თუ ამან შედეგი არ გამოიღო, მეოთხე დღეს გადავალ მშრალ შიმშილობაზე და მოვკვდები აქ. მეტი არაფერი!**

# უცხოელები საქართველოთი გადაიღალნენ

პირველი გვერდიდან

მისივე განმარტებით, რუსეთს ჩეჩნეთში ომის ხელახლა წამოწყება იმისთვის დასჭირდა, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ჩასაშლელად გარკვეული ზემოქმედების საშუალება ჰქონოდა. თავის მოსაზრებებს გერმანელი ექსპერტი სხვა ექსპერტების დასკვნებით ან მაღალჩინოსნებთან პირადი საუბრების ფრაგმენტებით ამაგრებდა, კონკრეტული გვარების მიუთითებლად.



მიუხედავად ყველაფრისა, შორეული ქვეყნის სტუმარმა რუსეთთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება, ზოგჯერ ზეწოლის, უფრო მეტად კი, დათმობის პოლიტიკის გატარება გვირჩია: **"რაო ესთან" დაკავშირებული ამბები დიდი აჟიოტაჟის საგანი არ უნდა გამხდარიყო. ელექტროენერგიით საქართველოს ვერც ამერიკა მოამარაგებს და ვერც გერმანია. რუსეთი უფრო ახლოსაა და თანაც საამისოდ ყველანაირი საშუალება გააჩნია. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გასაღები კი ისევ მოსკოვში ინახება."**

გერმანელ სტუმარს იმის დაზუსტება მაინც გაუჭირდა, თუ რა დათმობაზე უნდა წავიდეს საქართველო რუსეთთან. დიდი მეზობლის გულის მოსაგებად, აფხაზეთის გავლით რუსეთ-საქართველოს შორის რკინიგზის აღდგენის გარდა ჟურნალისტი გუშინ ეკონომიკურ ბერკეტებზეც საუბრობდა: **"რუსეთი თავისი პროდუქციის თქვენს ბაზარზე გასაღებით უნდა იყოს დაინტერესებული, შესაბამისად, ალბათ, ამ ბერკეტების გამოყენებაც შეიძლება".** ამგვარი რეცეპტის უვარგისობაში დარწმუნება კრისტიან ტრიპესთვის არაფრის უცდია, ალბათ იმიტომ, რომ თავის დასაზღვევად ჩვენმა სტუმარმა, პირველ რიგში, აღიარა - ზოგჯერ ექსპერტებიც ცდებიანო.

# აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს ნარკოსატრანზიტო არხებს ასახელებს

პირველი გვერდიდან

ექსპერტთა მონაცემებით, სომხეთი მიჩნეულია ნარკოტიკების "დიდ ბაზრად", სადაც ყველაზე მეტად ოპიუმი და მარიხუანა იყიდება. სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, სომხეთს აქვს დიდი პოტენციალი, მნიშვნელოვანი სატრანზიტო პუნქტი გახდეს. მათივე მონაცემებით, სომხეთის გავლით ნარკოტიკები თურქეთიდან და ირანიდან რუსეთსა და უკრაინაში გადის.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, უცხოელი ექსპერტების მტკიცებით, ქვეყანა უკვე მნიშვნელოვან სატრანზიტო პუნქტად ჩამოყალიბდა, რომელიც ავღანეთიდან, შუა აზიიდან და ირანიდან რუსეთსა და ევროპაში ნარკოტრანსპორტირებისთვის გამოიყენება.

უცხოელი ექსპერტები აცხადებენ, რომ პოტენციურად საქართველოს აქვს ყველა შესაძლებლობა, საერთაშორისო ნარკოვაჭრობის მნიშვნელოვანი პუნქტი გახდეს. ეს ევროაზიული სატრანსპორტო დერეფნის განვითარებას უკავშირდება, რომელიც არა მხოლოდ ლეგალური ტვირთების ტრანზიტის განვითარებას, არამედ ნარკოტრანზიტსაც ხელს შეუწყობს.

საერთაშორისო ექსპერტები საქართველოში ნარკოტიკების ტრანზიტის სხვადასხვა მიმართულებებს ასახელებენ. მათი მონაცემებით მოქმედებს ორი არხი: ავღანეთი-საქართველო-თურქეთი და რუსეთიდან, სამხრეთ ოსეთის გავლით, ნარკოტიკი შედის პანკისის ხეობაში, სადაც შემდეგ ადგილობრივ ბაზარზე ვრცელდება.



*გლობალიზაციაში საქართველო ყველაზე სწრაფად ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყნის სახით ერთვება.*

საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილე ირაკლი ალასანია კატეგორიულად აცხადებს, რომ საქართველოს ნარკოტიკების მსოფლიო ტრანზიტის საქმეში საკვანძო ფუნქცია არ აკისრია. **"საქართველო ნამდვილად არ არის ძირითადი ნარკომაგისტრალი, მაგრამ მასშტაბები და პოტენციალი, მართლაც, არსებობს. ამიტომაც ამ კუთხით ჩვენ სერიოზულ პრევენციულ ღონისძიებებს ვატარებთ. უშიშროების მინისტრთან ერთად სწორედ ამ მიზნით გახლდით ირანში, სადაც სერიოზული ღონისძიებები დაიგეგმა. მინდა გითხრათ, რომ ხაზი – ავღანეთი-ირანი-აზერბაიჯანი-საქართველო ნამდვილად არსებობს, მაგრამ ეს ხაზი ძირითადი ნარკოსატრანზიტო ხაზი არ არის. აქედან გამომდინარე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველო ძირითადი ნარკოსატრანზიტო გამტარია. რაც შეეხება პანკისის ხეობას, ამ შეთხვევაში ტრანზიტზე საუბარიც კი ზედმეტია, ეს აბსურდია,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას უშიშროების მინისტრის მოადგილემ ირაკლი ალასანიამ.

შსს-ს ნარკომანიისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს უფროსის, ალეკო ტანატაძის განცხადებით, ტრანზიტული ტვირთები საქართველოში გამოვლენილი არ არის. რაც შეეხება პანკისის ხეობას, იგი აცხადებს, რომ ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციის შემდეგ ხეობა გაიწმინდა. **"პანკისის ხეობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არარეალურია. ჩატარებული ანტიკრიმინალური ღონისძიებების შედეგად ხეობაში არსებული ნარკოკერები დაიხურა, დავაკავეთ 25 ნარკომოვაჭრე, ზოგიერთმა მათგანმა, ჩეჩნეთიდან გადმოსულებმა, თავად დატოვეს ტერიტორია. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება თქმა, რომ პანკისში ამჟამად ნარკოვაჭრობა იმ მასშტაბებით აღარ მიმდინარეობს, სიტუაცია დალაგდა,"** – აცხადებს ალეკო ტაბატაძე.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დედაქალაქის მერ ვანო ზოდელავას განცხადებით, შემოდგომაზე თბილისში რუსული კულტურის ცენტრის მშენებლობის დაწყების ცერემონია იგეგმება. მერის თქმით, ჯერჯერობით ცენტრისათვის ადგილი შერჩეული არ არის, თუმცა ამ მხრივ რაიმე სერიოზული პრობლემები არ უნდა იყოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეო საქმეთა მინისტრის, ირაკლი მენაღარიშვილის განცხადებით, საქართველო რუსეთის შესაბამისი მომართვის შემთხვევაში, მზად არის მის ტერიტორიაზე მყოფ 4 ათასამდე ჩეჩნეთიდან ლტოლვილს 5 ოქტომბერს ჩეჩნეთის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მისცეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ 1 მილიონ დოლარს გამოყოფს ბათუმის საზღვაო აკადემიაში სანაპირო დაცვის ოფიცრების მოსამზადებელი კათედრის შესაქმნელად. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა, "აგრარიკოსთა და რეფორმატორთა პარტიის" ლიდერმა ბაკურ გულუამ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, შესაძლოა, ფოთის მაჟორიტარ დეპუტატად იყაროს კენჭი. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების ფუნქციონირების ვადების საკითხზე ქართველი და რუსი ექსპერტების შეხვედრა სექტემბერში გაიმართება. რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩის ზურაბ აბაშიძის თქმით, ექსპერტებმა მხარეთა სრულმასშტაბიანი დელეგაციების მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი უნდა მოამზადონ. როგორც აბაშიძემ აღნიშნა, ქართული მხარე თბილისში დაგეგმილ მოლაპარაკებებზე კვლავ დააყენებს გუდაუთის სამხედრო ბაზაზე საერთაშორისო მონიტორინგის ჩატარების საკითხს, რომლის ლიკვიდაციის შესახებ რუსეთმა ორი წლის წინ განაცხადა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს ასლან აბაშიძეს უთვლის, რომ ბოლომდე აგებინებს ყველაფერზე პასუხს და აცხადებს, რომ გუშინ თბილისის მერიის შენობის წინ მისი და "ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ გამართული აქცია თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — ერთიანი ფრონტის" თავმჯდომარის, რესპუბლიკური პარტიის ლიდერის დავით ბერძენიშვილის ბათუმის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარ დეპუტატად დასახელებას უკავშირდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის მეთაურის პრესსამსახურის უფროსის თამაზ ბაკურიძის განცხადებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე აცხადებს, რომ ხელისუფლების მხრიდან არჩევნების გაყალბებას ადგილი ექნება, მიუხედავად ამის საწინააღმდეგოდ საარჩევნო კოდექსში ჩადებული გარკვეული მექანიზმებისა. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე აჭარაში საპარლამენტო არჩევნებზე უცხოელი დამკვირვებლების დასწრებას ეჭვის თვალით უყურებს.

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციის ორიოლის ოლქის გუბერნატორი ეგორ სტროევი, თვითგამოცხადებულ რესპუბლიკასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად, აგვისტოს ბოლოს აფხაზეთს ეწვევა. როგორც სოხუმის მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, ორიოლის ოლქი დაინტერესებულია აფხაზეთთან თანამშრომლობის გაღრმავებით ეკონომიკის, ტურიზმის სფეროებში და სხვა მიმართულებებით. ორიოლის ოლქი მზად არის, გაგზავნოს აფხაზეთში სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის პროდუქცია, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსკოველი ტრანსვესტიტების შოუ გაგრაში, რესტორან "გაგრიფშში" იმართება.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის გაგრის რაიონის ადმინისტრაციის მეთაურის ვალერი ბგანბას განცხადებით, შოუ გაგრაში დამსვენებლებისთვის არის განკუთვნილი, რომელთა რიცხვი ამჟამად 45 ათას აღწევს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარასკევს ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოს და სენატის ერთობლივ სხდომაზე აჭარის მთავრობის ახალი შემადგენლობის, მათ შორის მთავრობის თავმჯდომარის დამტკიცების საკითხი განიხილება. აჭარის მეთაურის პრესმდივნის თამაზ ბაკურიძის ცნობით, აჭარის მთავრობაში ახალი სახეები და ახალგაზრდები იქნებიან, თუმცა მათი ვინაობა არ დაასახელა. **პრაიმ-ნიუსი.**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992-93 წლებში დაღუპული მოხალისეების ძეგლი ნალჩიკში, აფხაზეთის მოედანზე დაიდგმება. ძეგლის გახსნის ცერემონია 30 სექტემბერს, კონფლიქტის დასრულებიდან მე-10 წლისთავზე გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს 13 საათზე, თავისუფლების მოედანზე "აღორძინების" მხარდამჭერები, პარტიის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის ცოტნე ბაკურიას თაოსნობით, "ტირანიის, ფაშიზმის, ძალადობისა და სააკაშვილიზმის" წინააღმდეგ მშვიდობიან აქციას გამართავენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაზიანის სამხედრო ბაზაზე დარჩენილი ცეზიუმის კონტეინერის გატანას ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო ჯერჯერობით ვერ ახერხებს. როგორც ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსი სოსო კაკუშაძე აცხადებს, საქართველოში არ არსებობს ცენტრალიზებული შესანახი ადგილი, სადაც ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული რადიაციული წყაროები განთავსებული და დაცული იქნება. მისივე თქმით, სამინისტრო ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა უწყებასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, მაგრამ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული.

შეგახსენებთ, რომ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე რამდენიმე თვის წინათ ცეზიუმის ოთხი კონტეინერი აღმოაჩინეს, რომელიც იქ რუსმა სამხედროებმა დატოვეს. ეს კონტეინერები საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შემთხვევით აღმოაჩინა, თუმცა რამდენიმე ხანში ოთხიდან სამი კონტეინერი უკვალოდ გაქრა. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, რომელსაც სამხედრო პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქურდობისთვის ძებნილი, მრავალჯერ ნასამართლევი 19 წლის მიხეილ ქოჩორაძე, მეტსახელად "ქოჩორა" ისანი-სამგორის რაიონის თანამშრომლებმა დააკავეს.

ვარკეთილში მცხოვრებმა მიხეილ ქოჩორაძემ ამავე დასახლების მაცხოვრებლის, ვლადიმერ ლეკიშვილის ბინა გაქურდა **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ისანი-სამგორის სისხლის სამართლის განყოფილების თანამშრომლებმა, 25 წლის ნათია ადეიშვილი 28 წლის აზერბაიჯანელი ეროვნების მამაკაცის დაჭრის ბრალდებით დააკავეს. როგორც შსს-ში აცხადებენ, გლდანში მცხოვრებმა ნათია ადეიშვილმა, კახეთის გზატკეცილზე ურთიერთშელაპარაკებისას თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში მცხოვრებ ჰუსეინ თემურ ოღლის დანით ზურგში ჭრილობა მიაყენა.

გამოძიებას პროკურატურა აწარმოებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.**. ნატახტარის საგუშაგოზე საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა 40 ტონა ხორბლის უკანონო ტრანსპორტირებისას, დაბა ყაზბეგისა და ქალაქ თელავის მცხოვრებნი - მამუკა კოჭლამაზაშვილი და დავით ქევხიშვილი დააკავეს.

დაკავებულებს თან სათანადო დოკუმენტაცია არ აღმოაჩნდათ. მათ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა. ავტომანქანები წარდგენილია ლეგიონის სპეციალიზებულ სადგომში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში გალაკტიონის ქ. N23/23 მდებარე შპს „პრესტიჟის" მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. „პრესტიჟი" საგანგებო ლეგიონმა შეამოწმა და იქ უამრავი დარღვევა აღმოაჩინა. კერძოდ, შპს „პრესტიჟის" ხელმძღვანელობა ყალბ ანგარიშ-ფაქტურებს ამზადებდა და იყენებდა. სისხლის სამართლის საქმე, საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა წუხელ ქარელის რაიონში დიდი რაოდენობით კონტრაბანდული სიგარეტი დააკავეს. დაკავებულ ავტომანქანაში რუსული წარმოების 35.000 კოლოფი სიგარეტი აღმოჩნდა. ამჟამად დაკავებულია ავტომანქანის მძღოლი, ხოლო იმ პირებზე, ვისაც ეს ტვირთი ეკუთვნის, მიმდინარეობს მოკვლევა.

კონტრაბანდული სიგარეტი ცხინვალშია შეძენილი და სარეალიზაციოდ თბილისში ჩამოჰქონდათ. ლეგიონის მიერ დაკავებული უაქციზო სიგარეტი უახლოეს მომავალში განადგურდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" წევრი მაია სიმონიძე აცხადებს, რომ „ატსტუპნიკების" პრობლემასთან დაკავშირებული დადგენილების პროექტი, რომელიც პარლამენტის რიგგარეშე სესიამ დახურვამდე აუცილებლად უნდა მიიღოს, ფიზიკურად ჯერ კიდევ არ არსებობს. **მედია-ნიუსი**

# "ბურჯანაძე-დემოკრატები" - პირველი ოპოზიციური ბლოკი

პირველი გვერდიდან



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ახალი ბლოკის წევრებს საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდებათ.*

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ამომრჩეველს შეჰპირდა, რომ ბლოკში გაერთიანებული ადამიანები თავიანთ მთავარ ამოცანად ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას დაისახავენ, როგორებიცაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ჯარის მშენებლობა, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, მოსახლეობისთვის სოციალური გარანტიების შექმნა.

**"ჩვენ ვიმოქმედებთ უდიდესი პასუხისმგებლობით, ზედმეტი პოპულიზმის და ხელოვნური რადიკალიზმის გარეშე... ჩვენ ვიქნებით რადიკალური, მაგრამ კონსტრუქციული ოპოზიცია, პოპულისტური ლოზუნგების გარეშე",** - ეს სიტყვები გუშინდელ პრეზენტაციაზე ყოფილ და ამჟამინდელ სპიკერებს, ალბათ, მარტოოდენ ამომრჩევლის გასაგონად არ შეურჩევიათ...

**"ჩვენი მოსახლეობა ბევრად უფრო უკეთესი ხელისუფლების ღირსია,"** - ასეთია ბლოკის მოღვაწეობის კრედო, რომელიც ნინო ბურჯანაძემ წარმოთქვა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ზურაბ ჟვანიამ ხაზგასმით აღნიშნა: **"ბლოკის გამოცხადება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კარი დავხურეთ. იმ ძალებიდან, რომლებთანაც ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო, თუ ვინმეს სურვილი ექნება, მათთვის ბლოკის კარი გახსნილია".** ეს ფრაზა მათ გასაგონად წარმოითქვა, ვისაც საარჩევნოდ ერთიანი ოპოზიციური ფრონტი უნდა შეექმნა.

"ბურჯანაძე-დემოკრატების" საარჩევნო პროგრამას, რომლის ჩამოყალიბებაშიც, ზურაბ ჟვანიას ინფორმაციით საუკეთესო მეცნიერები და ექსპერტები მუშაობენ, ამომრჩეველი სექტემბრის შუა რიცხვებისთვის გაეცნობა.

# სამართლიან არჩევნებს არასასურველი მოსახელე გამოუჩნდა

ლენა მიქაძე

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას, შემოკლებით არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიან არჩევნებს" მოსახელე გამოუჩნდა. ორგანიზაციის წევრებმა ამის შესახებ გაზეთ "ამომრჩევლის კროსვორდის" აგვისტოს ერთ-ერთი ნომრის საშუალებით შეიტყვეს.

როგორც ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, გაზეთი სამცხე-ჯავახეთში წინასაარჩევნოდ შექმნილი მდგომარეობის ანალიზს სთავაზობს მკითხველს. ზურაბ ჭიაბერაშვილის ორგანიზაციის წარმომადგენლების შეფასებით, გაზეთში გამოქვეყნებული მასალები და შეხედულებები რეალურ ფაქტებს არ ემყარება. გარდა ამისა, გაზეთის ერთ-ერთ პუბლიკაციაში არ არის დასახელებული არც ფაქტების ან მოსაზრების დამადასტურებელი წყარო და არც თავად პუბლიკაციის ავტორი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ეს გამოცემა ჭიაბერაშვილის ორგანიზაციისთვის უცნობ "სამართლიან არჩევნებს ეკუთვნის." გაზეთის გამომცემელი ორგანიზაცია, საგაზეთო პუბლიკაციაში ნახსენებმა პიროვნებებმა ჭიაბერაშვილის ორგანიზაციად მიიჩნიეს, თუმცა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ცენტრი გაზეთის გამომცემელ ორგანიზაციასთან ყველანაირ კავშირს უარყოფს. **"ჩვენი ამოცანა დიახაც, არის ამომრჩევლის ინფორმირება, მაგრამ არა რომელიმე რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის სავარაუდო კანდიდატების ლანძღვის სახით, არამედ, ინფორმაციის მიწოდებით ამომრჩევლის უფლებებისა და ჩვენი ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის შესახებ. ჩვენი მიზანია, ყველა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატისათვის უზრუნველყოფილი იყოს კონკურენციის კანონით გათვალისწინებული თანაბარი პირობები. ჩვენ შეიძლება საზოგადოებას ვაუწყოთ კონკრეტული პიროვნებების კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შესახებ, რაც არაერთხელ გაგვიკეთებია, მაგრამ ჩვენ მიერ გავრცელებული ინფორმაცია ყოველთვის ეყრდნობა რეალურ ფაქტებს და არასოდეს სცდება კანონის და ეთიკის ფარგლებს. "სამართლიანი არჩევნების" (ვიმეორებთ, ეს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების უკვე კარგად დამკვიდრებული შემოკლებული სახელია) სახელით, ამგვარი გამოცემების გამოცემა გვაფიქრებინებს, რომ საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები ანდა ძალები, რომლებთაც სურთ, შებღალონ სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეპუტაცია, როგორც არჩევნების მიუკერძოებული და ობიექტური მსაჯულისა,"** - აცხადებს ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

# მორიგი უშედეგო ღამის "დოლი" პარლამენტში

პირველი გვერდიდან

ამ თემის დახურვის შემდეგ უკვე ოპოზიცია გააქტიურდა, რომელიც ახალი "საპროცედურო ომის" წამოწყებას აპირებდა. ყოველ შემთხვევაში, მათი წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ კვორუმის არარსებობის პირობებში სხდომის გამართვას რეაგირების გარეშე არ დატოვებდნენ.

თუმცა, ეს ყველაფერი "ჟურნალი" იყო, "კინო" კი დღის მეორე ნახევრიდან დაიწყო, როდესაც ოპოზიციური ფრაქციების ლიდერებმა გიორგი ბარამიძემ, ფიქრია ჩიხრაძემ და აკაკი ასათიანმა, აგრეთვე ნოდარ ჯავახიშვილმა სეკვესტრის მხარდაჭერის სანაცვლოდ მთავრობის გადაყენება მოითხოვეს.

ცხადია, სამთავრობო ძალები ასეთ ულტიმატუმს არ დათანხმდებოდნენ. მითუმეტეს, როგორც სახელმწიფო მინისტრის გამოსვლიდან გაირკვა, ხელისუფლებას სარეზერვო ვარიანტიც ჰქონია შემონახული - ავთანდილ ჯორბენაძის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ბიუჯეტის სეკვესტრს მხარს არ დაუჭერს, შესაბამის საბიუჯეტო ცვლილებებს ფინანსთა სამინისტრო განახორციელებს.

სახელმწიფო მინისტრის გუშინდელი გამოსვლა სხვა კუთხითაც იყო გამორჩეული: მან ძალიან ბევრი ისაუბრა "ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ტემპების არნახულ მაჩვენებლებზე", "ენერგეტიკულ სექტორში წარმოებული ელექტროენერგიის მოცულობის გაზრდაზე", "მიმდინარე წლის შვიდ თვეში 2002 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტში 94 მილიონი ლარით მეტ მობილიზებაზე"...

ცოტა მოგვიანებით პარლამენტის თავმჯდომარე სახელმწიფო მინისტრის სიტყვის "ციტირებას" არაერთხელ მოახდენს.

**"რა მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზეა" ლაპარაკი? ვინ უნდა მოაგვაროს ბატონ ჯორბენაძის მიერ ჩამოთვლილი პრობლემები, თუ არა თავად მთავრობამ? როგორ დავიჯერო სახელმწიფო მინისტრის მტკიცება საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების შესახებ, როდესაც ამერიკელი, გერმანელი და ჰოლანდიელი ინვესტორები ქვეყნიდან გარბიან და მათ ნაცვლად, მხოლოდ რუსები შემოდიან?",** - ნინო ბურჯანაძის კითხვებზე პასუხები აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ (ვერ) გასცა.

გუშინდელი დღის კულმინაციის მომენტად იქცა კენჭისყრა იმის შესახებ, უნდა ეყარათ თუ არა კენჭი ბიუჯეტის სეკვესტრისთვის. როდესაც სახელისუფლებო ძალები დარწმუნდნენ, რომ სხდომათა დარბაზში 118 მხარდამჭერის მოყვანას ვერ ახერხებდნენ, იძულებული გახდნენ, ის ზემოთნახსენები კანონპროექტი "აემუშავებინათ", რომელიც ფინანსთა სამინისტროსთვის საგამოძიებო უფლებამოსილების მინიჭებას ითვალისწინებს.

რაც შეეხება თავად კენჭისყრის შედეგებს, სეკვესტრის თაობაზე კენჭისყრის გამართვას მხარი დაუჭირა 32 დეპუტატმა, 37-ის წინააღმდეგ. ამ ამბის მთელი "მადლი" იმაში მდგომარეობს, რომ 32-ვე დეპუტატი ოპოზიციის წარმომადგენელი, ანუ ის ხალხი იყო, ვინც... სეკვესტრის წინააღმდეგია.

ამის შემდეგ კი დაიწყო ღამის "დოლი" (უმრავლესობის მიერ შეთავაზებული კანონპროექტის განხილვა), რომელსაც ბოლომდე მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელმა დეპუტატებმა გაუძლეს.

# „თელასის„ და „ტელეკომის„ შემდეგ პორტების ჯერი დადგება

პირველი გვერდიდან

მოლაპარაკებების შესახებ გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად "საქართველოს ტელეკომში" შემდეგი სქემის ამოქმედებაა მოსალოდნელი. კომპანიის საკონტროლო 51-პროცენტიანი პაკეტი საქართველოს მთავრობას ეკუთვნის, 30 პროცენტი - ამერიკულ კომპანია "მეტრომედიას" (იგი, ასევე, "მაგთიკომის", "აიეტი ტი-ვის" და რადიო "საქართველოს" მეწილეა), ხოლო 19 პროცენტი – ოფშორულ კომპანია "ბულკომს". ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარის გიორგი ბარამიძის განცხადებით, მოსალოდნელია, რომ "მეტრომედია" და "ბულკომი", რომლის უკანაც, სავარაუდოდ, ქვეყნის პრეზიდენტის ოჯახის ინტერესები დგას, ერთობლივად იმოქმედებენ და ხელისუფლების კუთვნილი 51-პროცენტიდან ნაწილის გამოსყიდვას შეეცდებიან. ბარამიძის თქმით, "საქართველოს ტელეკომის" საკონტროლო პაკეტი "როსტელკომისთვის" გაცილებით საინტერესო იქნება, ვიდრე "ბულკომის" და "მეტრომედიას" ამჟამინდელი წილები. ქვეყნის ერთ-ერთ სტრატეგიულ ობიექტად მიჩნეულ "საქართველოს ტელეკომში" რუსული კომპანიის მიერ საკონტროლო პაკეტის მოპოვებას კი, ეკონომიკურზე მეტად, შესაძლოა, პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს.

მეორე სატელეკომუნიკაციო ობიექტი, რომელსაც "როსტელკომმა" დაადგა თვალი, ტაე-ა, რომლის გაყვანა ბერძნულ სატელეკომუნიკაციო კომპანია "ოტეს" 17 მილიონი დოლარი დაუჯდა და რომლის ოპერატორიც, ასევე, ოფშორული "ქართული" კომპანია "ფოპნეტია" (ამ კომპანიასთან კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრის ფრიდონ ინჯიას გვარი ასოცირდება). ხელშეკრულების თანახმად, ქართულ მხარეს თანდათანობითი გადახდით უნდა დაეფარა აღნიშნული 17 მილიონი და შედეგად ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი მის მფლობელობაში გადავიდოდა. მაგრამ ქართულ მხარეს თანხის დაფარვა, წლების გასვლის მიუხედავად, არც კი დაუწყია და, შესაბამისად, "ოტესადმი" დავალიანება უკვე 22 მილიონ დოლარს აღწევს. "ოტე" მონოპოლისტია სომხეთის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე და, ამავე დროს, წინა წლებში სერიოზულ დაინტერესებას გამოხატავდა "საქართველოს ელექტროკავშირისა" და "საქართველოს ტელეკომის" პრივატიზების მიზნით გამოცხადებული ტენდერების მიმართ. ასევე, "დემოკრატების" ინფორმაციით, "როსტელკომი" ბერძნულ კომპანიასთან მისი შეძენის მიზნით სერიოზულ მოლაპარაკებებს აწარმოებს. თუ ეს შერწყმა განხორციელდება, ტაეც "როსტელკომის" ხელში აღმოჩნდება.

გიორგი ბარამიძე ამ პროცესებს საგანგაშოდ და ქვეყნისთვის სერიოზული საფრთხის მომტანად მიიჩნევს. მისი აზრით, ამ ინფორმაციებზე მყისიერი რეაგირება აუცილებელია, რათა ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გასხვისება არ მოხდეს. ამავე პროცესებს აქტიურად აპროტესტებს ყოფილი კავშირგაბმულობის მინისტრი და ამჟამად ლეიბორისტი ფრიდონ ინჯია, რომლის მინისტრობის პერიოდშიც შეიქმნა "საქართველოს ტელეკომი" და საფუძველი ჩაეყარა ტაე-ს მშენებლობას. მისი თქმით, ამ ობიექტებს მათი სტრატეგიულობის გამო საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლი იცავს პრივატიზებისგან. მიმდინარე პროცესებში ინჯია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრს მერაბ ადეიშვილს ადანაშაულებს. **"ადეიშვილს სულ პრივატიზაცია ელანდება, რადგან საზღვაო და საჰაერო ფლოტები უკვე გაყიდა და ახლა "ტელეკომის გაყიდვაც სურს",** - ასე აკრიტიკებს მოქმედ მინისტრს ყოფილი მინისტრი და დასძენს, რომ პოლიტიკური უპერსპექტივობის გამო ამჟამინდელ ხელისუფლებას მაქსიმალურად ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტის გაყიდვის მოსწრება სურს.

თუმცა, ინჯიას ვერსია იმის შესახებ, თუ რას აპირებს "მეტრომედია" "საქართველოს ტელეკომთან" დაკავშირებით, ბარამიძის ვერსიისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ინჯიას თქმით, "მეტრომედიამ" პაკეტის გაზრდის ნაცვლად, შესაძლოა, თავისი კუთვნილი 30 პროცენტი გაყიდოს. ყოფილი მინისტრის აზრით, ამერიკულმა კომპანიამ ასეთი გადაწყვეტილების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, პარტნიორებს ანუ საქართველოს ხელისუფლებასა და "ბულკომს" უნდა შეატყობინოს და ხელისუფლებამ ეს წილი თავად უნდა გამოისყიდოს.

"საქართველოს ტელეკომსა" და ტაე-სთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებს განსხვავებულ შეფასებებს აძლევენ ექსპერტები. ექსპერტი გია ხუხაშვილი, რომელიც რუსული კაპიტალის მიერ ქართული ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის მიმართულებით დაგეგმილ ექსპანსიაზე ჯერ კიდევ წლის დასაწყისში საუბრობდა, "ტელეკომისა" და ტაე-ს შესახებ აღნიშნულ ინფორმაციების გაჩენას სავსებით ბუნებრივად მიიჩნევს. ხუხაშვილის თქმით, ტელეკომუნიკაციების სფეროში შეღწევის შემდეგ, რუსეთი თავის ინტერესებს ქართული პორტების მიმართაც აქტიურად დააფიქსირებს.

თუმცა, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, "საქართველოს ტელეკომის" საკონტროლო პაკეტის რუსული კომპანიის ხელში გადასვლას, ქვეყნისთვის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა, შესაძლოა, არც ჰქონდეს. საქმე ის არის, რომ "ტელეკომი", თუნდაც "საქართველოს ელექტროკავშირისგან" განსხვავებით, მონოპოლისტად არ მიიჩნევა, რადგან მის მსგავს მომსახურებას (უმთავრესად, საერთაშორისო სატელეფონო კავშირი) ბაზარზე 20-მდე კომპანია ახორციელებს.

მნიშვნელოვანია, რომ გუშინ საქართველოში საგანგებო ვიზიტით "მეტრომედიის" პრეზიდენტი მარკ ჰაუფი იმყოფებოდა. გიორგი ბარამიძე არ გამორიცხავს, რომ ეს სტუმრობა "მეტრომედიის" "საქართველოს ტელეკომთან" დაკავშირებული გეგმების განხორციელებას უკავშირდებოდა. თუმცა, ექსპერტთა ვარაუდით, "მეტრომედიას", რომელმაც შარშანდელი ფინანსური სიძნელეები მეტნაკლებად გადალახა, შეუძლია, თავს უფლება მისცეს და თავისი ქართული აქტივები (მაგთიკომის, "აიეტი ტი-ვის, "ტელეკომის", რადიო "საქართველოს" წილები) აღარ გაყიდოს. საინვესტიციო ბანკ "სელფორდის" საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორის გიორგი ბედინეიშვილის თქმით, მისთვის "როსტელკომის" მიერ "საქართველოს ტელეკომის" მიმართ ინტერესის დაფიქსირება საკმაოდ მოულოდნელი იყო, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ და რუსულ კომპანიებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა წლების განმავლობაში გრძელდება, ასეთი ინტერესის გაჩენა შეიძლება ბუნებრივადაც ჩაითვალოს. ბედინეიშვილი, იმის გათვალისწინებით, რომ "როსტელკომი" სომხეთის მიმართულებით აქტიურად მუშაობს, მისთვის ტაე-ს და, შესაბამისად, "ოტესთან" შესაძლო გარიგებას უფრო საინტერესოდ მიიჩნევს.

თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, ტაე-ს სერიოზული "ნაკლიც" აქვს: მისი რამდენიმეწლიანი არსებობის მიუხედავად, მან ჩინეთამდე მაინც ვერ ჩააღწია. მართალია, ტაე აზერბაიჯანშიც ჩადებულია, მაგრამ გეგმის მიხედვით, მისი ჩინეთის მონაკვეთამდე დაკავშირებისთვის ტაე-ს ყაზახეთის ან თურქმენეთის მონაკვეთების გაყვანაა აუცილებელი. გარდა ამისა, ტაე-ს თურქეთის მონაკვეთთან ფოთი-რიზეს წყალქვეშა მონაკვეთით დაკავშირების პროექტი, პრაქტიკულად, ჩაიშალა. საქმე ის არის, რომ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი საქართველოს რკინიგზის გასწვრივაც ჩაიდო და სწორედ ეს კაბელი დაუკავშირდება თურქეთს (თანაც, ხმელეთით).

მიუხედავად "საქართველოს ტელეკომის" და ტაე-ს პლიუს-მინუსებისა, უდავოა, რომ საქართველოს მიმართ სტრატეგიულ-პოლიტიკური ინტერესის მქონე ქვეყნისთვის – რუსეთისთვის ეს სატელეკომუნიკაციო ობიექტები მაინც საკმარისად მიმზიდველია. "თელასის" მაგალითით გამოცდილებამიღებული პოლიტიკოსები ხელისუფლებისთვის ქვეყნის გაყიდვის გეგმის ჩაშლას აპირებენ.

# ამერიკელები ქართველებს ფულის გათეთრებასთან ბრძოლას ასწავლიან

სემინარი თემაზე "ფულის გათეთრება - გეოპოლიტიკური შედეგები" ხუთშაბათს ჩატარდა, საქართველოს ეროვნულ ბანკში ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და აშშ ხაზინის დეპარტამენტის ტექნიკური დახმარების ოფისის მრჩევლების მიერ (ირვინ უელსი, რენდოლფ მენი და ანდერს ფლოდინი). სემინარის მიზანს საზედამხედველო ორგანოებისათვის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა, რაც საქართველოში ფინანსური მონიტორინგის წარმატებულ განხორციელებას და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გაღრმავებას ხელს შეუწყობს.

1989 წელს დიდი შვიდეულის ქვეყნებმა ფინანსური დანაშაულის პრობლემათა გადაჭრის მიზნით, ფინანსური ქმედების სპეციალური კომისია (Financial Action Task Force - FATF) დააარსეს. FATF-ი სამთავრობოთაშორისო ორგანოა, რომლის მიზანს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის შემუშავება და მისი წარმართვა წარმოადგენს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ, 1990 წლის აპრილის თვეში FATF-მა შეიმუშავა 40 რეკომენდაცია, რომლის პროგრამა მოიცავდა აუცილებელი ქმედებების ფართო სპექტრს „ფულის გათეთრების" წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. მართალია, საქართველო (ისე, როგორც სხვა მრავალი ქვეყანა) FATF-ის წევრ სახელმწიფოთა რიგებს არ განეკუთვნება, მაგრამ როგორც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა, რომელიც ევროპის საბჭოს 1990 წლის კონვენციას მიუერთდა, ნაკისრი აქვს ვალდებულება, შექმნას უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში პრევენციული საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს.

სემინარზე ითქვა, რომ საქართველო მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაძლოა, ფულის "გამთეთრებლებისათვის" ერთ-ერთ "მიმზიდველ" ადგილად იქცეს. ამასთან, სემინარზე ხაზგასმით აღინიშნა ის უარყოფითი შედეგები, რაც ქვეყანას ამ სფეროში საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფამ შეიძლება მოუტანოს, რადგან ასეთ შემთხვევაში კონკრეტული ქვეყნის საფინანსო სისტემა საერთაშორისო თანამეგობრობისაგან იზოლირებული აღმოჩნდება.

მართალია, 2003 წლის 6 ივნისს პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონპროექტის გამო, საქართველო ამ საფრთხეს გადაურჩა, მაგრამ როგორც სემინარზე ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ გეგუჩაძემ აღნიშნა, ახლად შექმნილ სამსახურს, ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი და აქედან გამომდინარე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტს, რომ ამერიკის მხარე მზად არის, ამ საკითხებში ტექნიკური დახმარება აღმოგვიჩინოს.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის, ეროვნული ბანკის არასაბანკო ზედამხედველობის, კაზინოსა და სათამაშო ბიზნესის ზედამხედველობის, ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის, სადაზღვევო ზედამხედველობის, ნოტარიუსთა პალატის, ნოტარიუსთა დეპარტამენტის, ძვირფასი ლითონებისა და ქვების ზედამხედველობის, აუდიტორული საბჭოს, ანტიმონოპოლიური სამსახურისა და საბანკო ასოციაციის წარმომადგენლები. **პრაიმ-ნიუსი**

# 24 ქართულ კომერციულ ბანკში ლიკვიდაცია მიმდინარეობს

საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს ინფორმაციით, ამჟამად 24 ქართულ კომერციულ ბანკში ლიკვიდაციის პროცესი მიმდინარეობს.

ლიცენზიაგაუქმებული კომერციული ბანკების ლიკვიდაციის პროცესის დროულად წარმართვისა და ბანკის მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა კუთვნილი ფულადი სახსრების დროულად უკან დაბრუნების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა 11 ივლისს „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესი" დაამტკიცა.

ამ წესის მიხედვით, ლიცენზიაგაუქმებულ ბანკებში ეროვნულმა ბანკმა ახალი ლიკვიდატორები დანიშნა, რომელთა შრომის ანაზღაურება ეროვნული ბანკის ბიუჯეტიდან მოხდება. თითოეულ ლიკვიდატორს ორი ან სამი სალიკვიდაციო ბანკი დაექვემდებარება. ამჟამად ლიკვიდატორები ბანკების აქტივების რეალიზაციას აწარმოებენ, რათა კრედიტორების გასტუმრება მოხდეს. ამ ოპერაციების ამსახველ ფინანსურ ანგარიშგებას ლიკვიდატორები ყოველთვიურად ეროვნულ ბანკში წარადგენენ.

ეროვნული ბანკის ბოლო მონაცემებით, სულ გასტუმრებულია 4,27 მილიონი ლარის, 5,79 მილიონი აშშ დოლარის და 2000 გერმანული მარკის საბანკო ვალდებულება. **მედია-ნიუსი**

## „მშრომელთა„ წერილი ჩუბაისს

გუშინ "ლეიბორისტული" პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა საკუთარ ოფისში მიწვეულ რუსეთის სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილს "რაო ეეს-"ის ხელმძღვანელობისთვის წარსადგენი წერილი ჟურნალისტების თვალწინ გადასცა. ელჩი ნათელაშვილს შეპირდა, რომ აღნიშნულ წერილს ანატოლი ჩუბაისს გუშინვე მიაწვდიდა. "ლეიბორისტები" "რაო ეეს"-ის ხელმძღვანელისგან ელექტროენერგიის საერთო ტარიფში "თელასის" წილის შემცირებას ითხოვენ. "ასეთი ნაბიჯი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივებს ძალზე წაადგება," – წერს ნათელაშვილი ჩუბაისს.

*24 საათი*

## მერიამ საპირველსექტემბრო მიტინგის მოწყობა გადაიფიქრა

ორი დღის წინათ მერიის შენობის წინ "აღორძინებასა" და "ნაციონალურ მოძრაობას" შორის მომხდარი გაწევ-გამოწევის შემდეგ თბილისის მერიამ საპირველსექტემბრო მიტინგის მოწყობა გადაიფიქრა. "არ დავუშვებ, რომ ეს ღონისძიება ოპოზიციურმა პარტიებმა საკუთარი პოპულისტური და მერკანტილური ზრახვებისთვის გამოიყენონ," – აცხადებს ვანო ზოდელავა. ამ მიტინგზე პირველკლასელებისთვის სახელმძღვანელოები უნდა დაერიგებინათ. ისინი წიგნებს სკოლებში მიიღებენ.

*მერიის პრესსამსახური*

## სამშვიდობო ძალების სარდალი ქართულ სპეცსამსახურებს უპირისპირდება

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა, გენერალ-მაიორმა სვიატოსლავ ნაბზდოროვმა ხუთშაბათს ცხინვალში ჟურნალისტებთან საუბრისას პროტესტი გამოთქვა კონფლიქტის ზონაში ქართული სპეცსამსახურების მიერ ანტიკონტრაბანდული ოპერაციების ჩატარებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ქართული სპეცსამსახურების მცირე შეიარაღებული ჯგუფები სამშვიდობო ძალების სარდლობასთან შეუთანხმებლად კონფლიქტის ზონაში შედიან და იქ კონტრაბანდის გამოვლენის მიზნით ოპერაციებს ატარებენ. თუ მსგავსი რამ კვლავ განმეორდა, გატარდება ადეკვატური ღონისძიებები, რადგან ქართული მხარე ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ შეთანხმებებს არღვევს, - განაცხადა სვიატოსლავ ნაბზდოროვმა. გენერალ-მაიორის თქმით ქართული სპეცსამსახურების არასანქცირებული მოქმედებები ადგილობრივი ოსური და ქართული მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

*პრაიმ-ნიუსი*

## რუსეთს საქართველოსთან დათმობაზე წასვლა მოუწევს

რუსეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანებით სისხლხორცეულად არის დაინტერესებული. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი აცხადებს, ვმო-ში გაწევრიანებისთანავე საქართველოს მხარეემ ვმო-ს სამდივნოს მიმართა, რუსეთის ფედერაცია ე.წ. „მუშა-ჯგუფში" შეეყვანათ. მისი თქმით, „მუშა-ჯგუფში" დღეისათვის 78 ქვეყანა შედის, მათგან 50, ძირითადად, საქონლით ვაჭრობის ბაზარზე დაშვებით არის დაინტერესებული, ხოლო 28 — მომსახურების სფეროთი.

ბერუჩაშვილის ინფორმაციით, 2000 წლის 3 ნოემბრიდან საქართველოს დელეგაციამ რუსეთის ფედერაციასთან შვიდი ორმხრივი და ამდენივე მრავალმხრივი შეხვედრა გამართა, რომლებზეც საქართველოსათვის მნიშვნელოვანი საკითხები დაისვა, მათ შორის, ეთილის სპირტით რუსეთში ვაჭრობის აკრძალვის გაუქმება, ყაზბეგი-ზემო ლარსის გამშვები პუნქტის სრულფასოვანი ამოქმედება, რუსეთის ბაზარზე ქართული სასაქონლო ნიშნების დაცვა და სხვა.

საქართველოს მხრივ დასმულ საკითხებს რუსეთის დელეგაცია თავდაპირველად არაკონსტრუქციულად მიუდგა. მათი განმარტებით, საბაჟო-გამშვები პუნქტების შესახებ შეთანხმების დარღვევა მხოლოდ ჰუმანიტარული ტვირთების გადაადგილებამ განაპირობა.

თამარ ბერუჩაშვილის თქმით, ვმო-ს სხვა წევრები საქართველოს მოთხოვნებს მხარს უჭერენ, რის გამოც რუსეთი იძულებული გახდა, ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემები ეღიარებინა, თუმცა ეს მათთვის პოლიტიკურად მიუღებელი იყო.

ქართული მხარე შორს არის იმ აზრისგან, რომ ვმო-ს ფარგლებში რუსეთთან მოლაპარაკებები რაიმე შედეგს მოიტანს, მაგრამ იმედოვნებს, რომ ამით ცხინვალის რეგიონის პრობლემის მოგვარებაში მაინც გარკვეულ ძვრას მიაღწევს. **მედია-ნიუსი**

## "დოიჩე ბანკის" და კომპიუტერული გიგანტების გარიგების სკანდალი

ადამ მჭედლიძე

"დოიჩე ბანკის" ფილიალმა თანხმობა განაცხადა 750 ათასი დოლარი გადაიხადოს ჯარიმის სახით, რათა თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა "ჰიულეტ პაკარდისა" და "კომპაქის" გაერთიანებასთან დაკავშირებული სკანდალის გამო. როგორც ახლახან გაირკვა, "დოიჩეს" ერთ-ერთი შტო "დოიჩე ესეტ მენეჯმენტი," რომელიც გაერთიანებისას კონსულტაციას უწევდა "ჰიულეტ პაკარდის" აქციონერებს, თავად იყო დაინტერესებული კომპიუტერულ გიგანტებს შორის გარიგებით. ანუ, ადმინისტრაციული ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ადგილი ჰქონდა ინტერესების კონფლიქტს.

"ჰიულეტ პაკარდისა" და "კომპაქის" გარიგება შარშან შედგა და მას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ჰიულეტების ოჯახი გარიგების სასტიკი წინააღმდეგი იყო და შერწყმა კარგა ხანს ჰაერში იყო გამოკიდებული. მაგრამ საბოლოოდ, როცა ყველა გარიგების ჩაშლას ელოდა, აქციონერთა კრებაზე უმრავლესობამ გაერთიანებას ხმა მისცა. როგორც აღმოჩნდა, ეს "დოიჩეს" ხელშეწყობით მოხდა.

აშშ-ში მოღვაწე "დოიჩე ესერ მენეჯმენტი," რომელიც "ჰიულეტ პაკარდის" აქციონერებმა კონსულტაციებისათვის დაიქირავეს, თავიდან გარიგების წინააღმდეგი იყო და აქციონერებს ურჩევდა, შერწყმისათვის ხმა არ მიეცათ. მაგრამ მოგვიანებით, საკონსულტაციო ფირმამ პოზიცია შეიცვალა და აქციონერებს გარიგებისათვის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. სწორედ ამან გადაწყვიტა 18 მილიარდდოლარიანი გარიგების ბედი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა თანაფარდობა კომპიუტერულ სამყაროში. "დოიჩემ" გარიგების შემდეგ 1 მილიონი დოლარი მიიღო.

მაგრამ აშშ-ს ფასიანი ქაღალდების კომისიამ ახლახან აღმოაჩინა, რომ იმ პერიოდში "დოიჩეს" ერთ-ერთი საინვესტიციო განყოფილება "ჰიულეტ პაკარდზე" მუშაობდა. შესაბამისად, გაჩნდა ეჭვის საფუძველი, რომ კონსულტანტთა პოზიციის ცვლა სწორედ ამ გარემოებით იყო გამოწვეული. გარიგების მთავარმა მოწინააღმდეგემ, უოლტერ ჰიულეტმა ამ ამბის გახმაურებისთანავე "ჰიულეტ პაკარდის" წინააღმდეგ საქმე აღძრა და კომპანიას "დოიჩეს" მოქრთამვაში დასდო ბრალი.

რა ბედი ეწევა უოლტერ ჰიულეტის სარჩელს, ჯერ არავინ იცის. "დოიჩემ" კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისი დანაშაული აშშ-ს მთავრობის წინაშე 750 ათასით გამოისყიდა, ანუ, გარიგების წყალობით მიღებული მილიონიდან 250 ათასი დარჩა.

## შიმშილობის მოლოდინში

საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი "წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლის" მედპერსონალს გუშინ შიმშილობა უნდა დაეწყო, მაგრამ მთავარი ექიმის გია ჯავახიშვილის თხოვნით აქცია ჯერჯერობით შეჩერებულია.

მედპერსონალის სასოწარკვეთა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მათი დაწესებულება სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ სატენდერო კონკურსში ვერ გავიდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო პოლისის მქონე მშობიარე ქალები იქ აღარ იმშობიარებენ და შესაბამისად დაწესებულებას აღარც სახელმწიფო დაფინანსება ექნება. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ დაფინანსებას სიმწირისა და დეფიციტის მიუხედავად მაინც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ესეც რომ არ იყოს, მედპერსონალს თავი დაჩაგრულად მიაჩნია, ვინაიდან არასამთავრობო ორგანიზაციის ("ჯანსაღი სახელმწიფოს პარადიგმა") მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით "საპატრიარქოს სამშობიარო სახლში" მეანობის პროგრამა ყველაზე უკეთ მიმდინარეობს.

"ოთხი წლის განმავლობაში ქალთა სიკვდილიანობა არ გვქონია, მაგრამ ამ მონაცემს ყურადღებას არავინ აქცევს. სატენდერო კომისია ამაზე ორჯერ მეტ კოეფიციენტს უწერს ერთეული მშობიარობის ფასს (რაც უფრო ნაკლებ თანხას მოითხოვს სამშობიარო, მით მეტია კოეფიციენტი) და გადახდის პირობას (რაც უფრო დიდხანს არ მოითხოვს სამშობიარო შესრულებული ანაზღაურების საფასურს, მით მეტია კოეფიციენტი)," – ამბობს გია ჯავახიშვილი.



*ჯავახიშვილი: "მისცენ მშობიარეებს არჩევანის უფლებას"*

სახელმწიფომ ხელშეკრულება გაუფორმა ორ სამშობიაროს ("ჩაჩავას" და "მეოთხეს") და ერთვნულ სამედიცინო ცენტრს. როგორც ჯავახიშვილი ამბობს, მათი საწინააღმდეგო არაფერი აქვს, ოღონდ გული წყდება, რომ კოლეგების ერთმანეთთან გადაკიდება სურთ.

"ასეთი არაჯანსაღი კონკურენცია რომ არ იყოს, ერთი უბრალო რაღაცის გაკეთებაა საჭირო. გაანებონ თავი ყოველგვარ ტენდერებს და პოლისებს და სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტიდან თითოეულ მშობიარეს ხელზე მისცენ მშობიარობისთვის გათვალისწინებული თანხა 200-250 ლარი და მშობიარემ თვითონ აირჩიოს სამშობიარო. ჯანდაცვის კანონით ექიმის არჩევის უფლება ყველას აქვს. რატომ ართმევენ ხალხს ამ უფლებას და რატომ აიძულებენ მხოლოდ ორ-სამ დაწესებულებაში მისვლას?" – აცხადებს გია ჯავახიშვილი, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ საქმე შიმშილობამდე არ მივა.

*24 საათი*

## „მოგზაურობა" დაკონკრეტებულ მისამართებზე

ნანა ქადაგიშვილი

"აღორძინების" გუშინდელი "თავდასხმის" შემდეგ "ნაციონალურმა მოძრაობამ" საპასუხო რეაქცია არ დააგვიანა და ჟურნალისტები "აღორძინების" მიერ გუშინდელ პრესკონფერენციაზე დასახელებულ მისამართებზე წაიყვანა. პირველად საბურთალოს რაიონში მდებარე ასათიანის ქ.№12-ს ეწვივნენ და ჟურნალისტებს მომუშავე ლიფტი საკუთარი თვალით აჩვენეს. **"გუშინ ცოტნე ბაკურიამ რომ ფაქტი დაასახელა, სოლოლაკში მდებარე ასათიანის ქ. 12-ის ორსართულიანი სახლი იყო. "აღორძინებას" შეცდომა გაუგებრობის გამო არ მოსვლია, ეს განგებ გააკეთა,"** – განაცხადა "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა გიორგი არველაძემ.

მეორე მისამართი ბოგდან ხმელნიცკის №2\ა გახლდათ. აქაც ყველაფერი წესრიგში აღმოჩნდა, ანუ სახურავი შეკეთებული იყო. არველაძეს არც ამ ფაქტის განმარტება დაახანა, აღორძინების" წევრებმა გუშინ დასახელებული მისამართები "საკრებულოს მოამბედან" ამოიკითხეს. იქ ბეჭდვითი შეცდომა იყო დაშვებული და "ბოგდან ხმელნიცკის" №2\ა-ს ნაცვლად №20 ეწერაო.

მეორე გაუგებრობის გარკვევის შემდეგ "ნაციონალებმა" და ჟურნალისტებმა ჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე სათამაშო მოედანზე გადაინაცვლეს. ამ ქუჩაზე ორი მოედანი ყოფილა, რომელთაგან ერთი გაუკეთებიათ, მეორე – არა. **"აღორძინებამ, სპეციალურად, შეუკეთებელი მოედნის ფოტო ააფრიალა, გაკეთებული მოედანი კი არ უხსენებია,"** – აცხადებენ "ნაციონალები".

ბოლოს კი "დემოკრატიული აღორძინების კავშირის ოფისსაც" მიადგნენ. "აღორძინების" წარმომადგენლებმა გუშინ განაცხადეს, სახურავშეკეთებულ შენობათა რიცხვში საკრებულომ ჩვენი ოფისის შენობაც მიათვალა, მაგრამ არაფერი არ გაუკეთებიათო. "ნაციონალებმა" ჟურნალისტებს აჩვენეს ამავე შენობის სხვა ფლიგელი, სადაც სახურავი მართლაც შეკეთებული იყო.

"ნაციონალური მოძრაობის" ასეთი პასუხის შემდეგ უკან დახევას არც "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" აპირებს და "ნაციონალებს" დღეს თავისუფლების მოედანზე მოწყობილ აქციაზე უპასუხებს.

## „ჯენერალ დეზო" - საკრებულო: საარჩევნო მოტივები

*რამდენიმე დღის წინ თბილისის მთავრობამ მსოფლიო ბანკისგან გამაფრთხილებელი წერილი მიიღო. მსოფლიო ბანკი ქალაქის ხელმძღვანელობისგან "თბილწყალკანალის" რეაბილიტაციის პროექტის ბედის სასწრაფოდ გადაწყვეტას მოითხოვს. "ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი საკრებულო "წყალკანალის" მართვის უფლებით გადაცემას კვლავ დააყოვნებს, მსოფლიო ბანკი 25-მილიონიან კრედიტს სხვა ქვეყნისკენ მიმართავს," – აცხადებს "თბილწყალკანალი". ამის მიუხედავად, საკრებულო პოზიციას არ თმობს.*

ნანა ქადაგიშვილი

"თბილწყალკანალის" მართვის უფლებით გადაცემაზე გამოცხადებული ტენდერი თითქმის დასრულდა. სატენდერო კომისია საბოლოო დასკვნას ორ კვირაში გააკეთებს და "თბილწყალკანალსა" და "ჯენერალ დეზოს" შორის ხელშეკრულების გასაფორმებლად საკრებულოს ნებართვაღა დარჩება გასაცემი. თუმცა, როგორც ფრაქციების წარმომადგენელთა საუბრიდან ირკვევა, საკრებულო აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას არჩევნებამდე არ აპირებს. **"თბილწყალკანალსა" და "ჯენერალ დეზოს" შორის ხელშეკრულების რატიფიცირება საკრებულოს თანხმობის გარეშე არ მოხდება. საკრებულო კი ნებართვას მხოლოდ ტენდერის კანონიერება-უკანონონობის საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ გასცემს. ეს საქმე საკრებულოს დარგობრივი-ეკონომიკის კომისიას დაევალა, მაგრამ ვადა არ დათქმულა,"** – აცხადებს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ხელმძღვანელი დავით ხუციშვილი.

ამავე პოზიციაზეა ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა". **"მსოფლიო ბანკის მოთხოვნა საკრებულოს გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ მოახდენს. ჩვენთვის მთავარი ხალხის ინტერესია. "თბილწყალკანალის" ტენდერზე მორატორიუმი მანამ გაგრძელდება, სანამ შევარდნაძის კლანს ყველაფრის დასაკუთრების მადა არ დაეკარგება,"** – აცხადებს "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი გიორგი არველაძე.

"ლეიბორისტული" ფრაქცია უფრო კატეგორიულია. **"ჩვენ პოზიცია არ შეგვიცვლია. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საკრებულომ თანხმობის მიცემა არჩევნებამდე გააჭიანუროს, შემდეგ კი, როცა ხელისუფლებაში "ლეიბორისტები" მოვალთ, "თბილწყალკანალს" უცხოურ კომპანიას ვეღარავინ მიჰყიდის,"** – აცხადებს ფრაქცია "ლეიბორისტის" ლიდერი გიორგი გუგავა.

**"პარტიებმა "წყალკანალის" თემა წინასაარჩევნოდ ხალხის თვალში ქულების ჩასაწერ საშუალებად აქციეს, სოციალური თემებით სპეკულირებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. "თბილწყალკანალის" მართვის უფლებით გადაცემის წინააღმდეგ პირველად "ლეიბორისტებმა" გაილაშქრეს, შემდეგ "ნაციონალებიც" არ ჩამორჩნენ. საკრებულო არჩევნებამდე ამ საკითხის გადაჭრას ამიტომაც აჭიანურებს,"** – აცხადებს "თბილწყალკანალი".

თბილისის საკრებულოს წევრთა პრინციპულობას "ჯენერალ დეზოს" ხელმძღვანელობაც სერიოზულად შეუშფოთებია. საპარლამენტო არჩევნებს საპრეზიდენტო არჩევნები მოსდევს და ვაითუ, თქვენმა პარტიებმა "წყალკანალის" თემით სპეკულირება იქამდე გააგრძელონო, ჩივის "ჯენერალ დეზო".

Mercy Corps btc SCP

***საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა (სიპ)*** *არის* ***BP****-სა და მისი* ***ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა*** *(BTC) და* ***სამხრეთ კავკასიის გაზსადენის*** *(SCP) პროექტების მიერ დაფინანსებული ინიციატივა, რომლის დანიშნულებაა მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლების მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა სარეაბილიტაციო და სოფლის მეურნეობის პროექტებისა თუ მიკრო-კრედიტების მეშვეობით.*

*ქვემო ქართლის რეგიონში პროგრამას ახორციელებს ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან (**ელკანა, საერთაშორისო ფონდი კურაციო, საქართველოს ტექნიკური დახმარება, ფონდი კონსტანტა**) შემდგარი კონსორციუმი, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაცია **Mercy Corps** ხელმძღვანელობს.*



*პროგრამა დაიწყო 2003 წლის მარტში და გაგრძელდება 2006 წლის თებერვლამდე.*

**სოფელი მარაბდა ახორციელებს სასმელი წყლის პროექტს**

თეთრიწყაროს რაიონში მდებარე სოფელი მარაბდა ცნობილი 1625 წლის ირანთან ბრძოლის ადგილი და გმირი 9 ძმა ხერხეულიძის სამშობლოა.

ამ ისტორიული სოფლის მაცხოვრებელ 120 ოჯახს უკვე 15 წელია რაც არასტანდარტული მთავარი არხისა და ამორტიზებული შიდა გამანაწილებელი ქსელის გამო სასმელი წყალი თითქმის არ მიეწოდებოდა და ხალხი იძულებული იყო 12 კილომეტრის მანძილიდან მოეზიდა წყალი. როგორც ამბობენ, როცა სოფელში სტუმარი წყალს მოითხოვდა, ბოდიშს უხდიდნენ და სამაგიეროდ ღვინოს მოართმევდნენო.

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში სოფელმა საკუთარი შრომით მოაწესრიგა წყლის ავზი, სადაც შესაძლებელია 100-120 ტონა წყლის დაგროვება, მთავარი არხი, რომელსაც სოფელში შემოჰყავს წყალი, შეცვალა შიდა ქსელი, ხოლო ყოველმა ოჯახმა იკისრა პასუხისმგებლობა წყლის საკუთარ ეზოში შეყვანაზე.

რაც შეეხება საორგანიზაციო საკითხებს, აქ ინიციატივა სოფლის საკრებულომ და თავკაცებმა აიღეს, თუმცა მთელი სოფელი უმალ ფეხზე დადგა იმის იმედით, რომ რაღაც სასიკეთო გაკეთებულიყო. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შექმნილი პრობლემების გამო თავის თავში ჩაკეტილი ადამიანები ისევ გამოცოცხლდნენ და საკუთარი სარგებლის გარდა უკვე საერთო სიკეთისათვისაც ფიქრობენ, დაუბრუნდათ დაკარგული იმედი და გაუჩნდათ რწმენა, რომ საკუთარი ძალებითა და მონდომებით ბევრის მიღწევა შეიძლება.

## ორი სიტყვით

**ბორჯომი.** სოფელ დგვარში წლების წინათ გააქტიურებული მეწყერი ადგილობრივი მოსახლებისათვის გარკვეულ საფრთხეს დღესაც ქმნის. დგვარში ამჟამად 150-მდე კომლი ცხოვრობს. ოპერატიული დავალებით სოფელში კონსტრუქტორები და არქიტექტორები ჩავიდნენ. მათ თითოეული სახლი დეტალურად უნდა აღწერონ და დაზიანების შესაბამისი კატეგორია მიანიჭონ.

სოფელ დგვარის პრობლემის გადასაწყვეტად პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილია სამთავრობო კომისია. ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გარდა კომისიაში 18 სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურია შესული. მათი ერთობლივი მუშაობისა და შესაბამისი დასკვნის შემდეგ გადაწყდება სოფლელების ბედი.

კომისიის დასკვნა ნოემბერში უნდა იყოს მზად. არ არის გამორიცხული დღის წესრიგში დადგეს დგვარიდან ადგილობრივი მოსახლეობის გამოსახლების საკითხიც. *24 საათი.*

■ ■ ■

**თბილისი.** `მეტრომშენის` სამმართველოს შენობაში გუშინწინ შეჭრილი აფხაზეთიდან დევნილები გუშინ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ლონდერ ცაავასა და პარლამენტარ გიორგი ყარყარაშვილს შეხვდნენ და შეთანხმდნენ, რომ ორშაბათიდან ათი დღის განმავლობაში დევნილთა 15 ოჯახს თბილისის სხვადასხვა რაიონში დააბინავებენ. სამი ოჯახისთვის, გიორგი ყარყარაშვილის დახმარებით, ისნის რაიონში ბინები გუშინვე გამოინახა. თუმცა, ამის შემდეგ დევნილებმა მაინც განაცხადეს, რომ მეტრომშენში გარკვეული ფართის დაკავებას კვლავ შეეცდებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მეტად ქონების დაზღვევაზე ზრუნავს.

წლეულს ექვს თვეში ამ სფეროში კომპანიების მიერ 5 მილიონ ლარზე მეტია მოზიდული, ზარალის ასანაზღაურებლად კი 964 ათასი ლარი გაიცა.

მეორე ადგილზე სამედიცინო დაზღვევაა, რომელზეც წლეულს ექვს თვეში 2,7 მილიონ ლარზე მეტი პრემია იყო მოზიდული. აქედან სადაზღვევო შემთხვევების დადგომის დროს 1,8 მილიონი ლარის ზარალი იყო ანაზღაურებული. მესამე ადგილი სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევაას უკავია, მეოთხე კი - ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც „შპს „საქართველოს რკინიგზის" სამგზავრო სამსახური აცხადებს, სექტემბრიდან თბილისიდან ბათუმის მიმართულებით მოძრავი სამგზავრო მატარებლების რიცხვი შემცირდება, რადგან შემოდგომიდან, როგორც წესი, მგზავრთა რაოდენობა იკლებს. ამიტომაც, სავარაუდოდ, ქობულეთის მიმართულებით ერთი მატარებელი დარჩება და ბათუმის მიმართულებით – ორი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თეთრიწყარო.** ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ცნობით, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ გოლთეთში ლენტეხის რაიონიდან ჩასახლებული სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა დაზიანებულ სახლებში ცხოვრობს.

გეოლოგიურად შეუსწავლელ, მცოცავ გრუნტსა და გიფსოვან ქანებზე აშენებული საცხოვრებელი სახლები უკვე მეორედ დაიბზარა. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით შექმნილი პროგრამა, რომლის განსახორციელებლად წლევანდელ ბიუჯეტში 200 ათასი ლარია გათვალისწინებული, დაზარალებულებისთვის ახალი საცხოვრებელი ბინის შეთავაზებას გულისხმობს. ამ თანხით კი მხოლოდ 30-მდე ოჯახის დაკმაყოფილებაა შესაძლებელი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კომპანია "აფხაზეთის ავიახაზების" გენერალურმა დირექტორმა ნოდარ გერზმავამ ხუთშაბათს განაცხადა, რომ სოხუმის აეროპორტის ასაფრენ-დასაჯდომი ზოლი 8 წელია, მზად არის ნებისმიერი ტიპის საჰაერო ხომალდის მისაღებად, მაგრამ IKAO ფრენების უფლებას არ იძლევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მეტად ქონების დაზღვევაზე ზრუნავს. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაციით, მოზიდული პრემიის მიხედვით, ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევა პირველ ადგილზეა. წლეულს ექვს თვეში ამ სფეროში კომპანიების მიერ 5 მილიონ ლარზე მეტია მოზიდული, ზარალის ასანაზღაურებლად კი 964 ათასი ლარი გაიცა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წლეულს იანვარ-ივნისში საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე 25 სადაზღვევო კომპანია საქმიანობდა. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ცნობით, ამ პერიოდში კომპანიებმა 18,4 მილიონ ლარზე მეტი პრემია მოიზიდა, რაც შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 6,3 მილიონი ლარით აღემატება. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

### პირველი ლათინოამერიკული რაკეტა სტარტზეა

ბრაზილია პირველი კოსმოსური ხომალდის გასაშვებად ემზადება. თუ 25 აგვისტოს დაგეგმილი სტარტი წარმატებით ჩაივლის, იგი პირველი ლათინოამერიკული კოსმოსური ქვეყანა გახდება.

ბრაზილიის კოსმოსური პროგრამა 1970-იანი წლებიდან იღებს სათავეს და დღემდე მან ასობით მილიონი დოლარი შთანთქა. სურვილი მთელი მსოფლიოსათვის და, პირველ რიგში, მთავარი მეტოქე, არგენტინისათვის თავისი ტექნიკური მიღწევები ეჩვენებინა, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ღარიბი ბრაზილიელები ამხელა ხარჯებზე წავიდნენ.

კოსმოდრომი ამაზონიის ჯუნგლებში, ქალაქ ალკანტარაში აშენდა, რომელიც, სანამ კოსმოსურ ცენტრად იქცეოდა, "გაქცეული მონების ქალაქად" იყო ცნობილი.

ბრაზილიამ უკვე ორჯერ სცადა ხელოვნური თანამგზავრის გაშვება, 1997 და 1999 წელს, მაგრამ ორივე ცდა წარუმატებლად დასრულდა. რაკეტები გაშვებისთანავე აფეთქდა, შესაძლოა, ამიტომაც, ამჯერად ქვეყნის ისტორიაში პირველი კოსმოსური რაკეტის გაშვებაზე ჟურნალისტები არ მიიწვიეს.

ბრაზილიელებს იმედი აქვთ, რომ ალკანტარა შეიძლება მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კოსმოდრომად იქცეს. იგი ეკვატორის ახლოს მდებარეობს და ამიტომ აქედან რაკეტის ორბიტაზე გაშვებას ყველაზე ნაკლები ენერგია სჭირდება.

### პორტუგალიაში სიცხისაგან 1300 ადამიანი დაიღუპა

არნახულმა სიცხემ პორტუგალიაში 1300 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა – განაცხადა ამ ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა. წელს ივლისის ბოლოდან აგვისტოს ბოლომდე ამ ქვეყანაში რეკორდულად მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა.

ადამიანთა შორის მსხვერპლის გარდა, დიდი ზარალი მიადგა გარემოსაც. ქვეყანაში რამდენიმე ათასი ჰექტარი ტყე დაიწვა.

ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით, მთავრობა აპირებს, ხანდაზმულ მოქალაქეებს სასწრაფოდ კონდიციონერები დაუყენოს, რათა ამგვარი ტრაგედიის გამეორება თავიდან აიცილოს.

ზაფხულის ხვატს ყველაზე დიდი მსხვერპლი საფრანგეთში მოჰყვა. წინასწარი მონაცემებით სიცხემ 10 ათასი ადამიანი და ჯანდაცვის მინისტრის სავარძელი შეიწირა.

### ლატვიელები საკუთარ მთავრობაზე გაბრაზდნენ

სექტემბერში დაგეგმილი რეფერენდუმის წინ, ლატვიელები მოულოდნელად მათი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებისადმი უარყოფითად განეწყვნენ. ბოლო გამოკითხვამ აჩვენა, რომ კავშირში გაერთიანებას მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები უჭერს მხარს. ბოლო ხანებში მომხრეთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო მოწინააღმდეგეებისა – გაიზარდა.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ხალხი ევროკავშირით კი არა, საკუთარი მთავრობითაა უკმაყოფილო, რომელსაც სოციალური პროგრამების შეკვეცა და ამით ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება სურს.

ქვეყნის პრეზიდენტმა ვაიკე-ფრეიბერგამ ხალხს მოუწოდა, თუ "მარტოობაში დარჩენა არ უნდათ, ხმა მისცენ ევროკავშირში გაწევრიანებას". მოსახლეობას პრემიერმაც მიმართა თხოვნით, პოლიტიკურ დავას გაცილებით უფრო მნიშვნელოვან საკითხს ნუ გადააყოლებენ.

### მიწისძვრა ახალ ზელანდიაში

ძლიერი მიწისძვრა მოხდა გუშინ ახალი ზელანდიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ადგილობრივი გეოლოგიური სამსახურის ცნობით მისმა ძალამ რიხტერის შკალით 7 ბალი შეადგინა. მიწისძვრის ეპიცენტრი ფიორდტაუნის პროვინციაში მდებარეობდა. ეს ადგილი ქვეყანაში ერთ-ერთი ულამაზესია და ტურისტებს შორისაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. მათთვის საბედნიეროდ, მიწისძვრამდე მოსულმა ძლიერმა თოვლმა (მოგეხსენებათ, სამხრეთ ნახევარსფეროში ახლა ზამთარია) ამ ადგილისაკენ მიმავალი გზა ჩაკეტა. საბედნიეროდ, მსხვერპლიც არ ყოფილა.

ახალი ზელანდია ორი ტექტონიკური ბაქნის შესაყარზე მდებარეობს და მსოფლიოში სეისმურად ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ზონად ითვლება. წელიწადში აქ ათასობით მცირე მიწისძვრა ხდება.

# ებრაული ვენდეტა დაიწყო

პირველი გვერდიდან

21 აგვისტოს გამთენიისას ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა ნაბლუსის რაიონი დაიკავეს და ქალაქში სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად მზადყოფნა გამოაცხადეს. პარალელურად, მასობრივი დაპატიმრებები განხორციელდა ქალაქ ჰებრონში, რომელიც იერუსალიმის ტერაქტის "გმირის" – კამიკაძე-ტერორისტის მშობლიურ ქალაქს წარმოადგენს. ნაბლუსში ისრაელის არმიამ საკმაო რაოდენობის ჯავშანტექნიკა განალაგა. ქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათიც. საინფორმაციო საშუალებები შეტაკების შესახებაც იუწყებიან, თუმცა მსხვერპლის თაობაზე არაფერია ცნობილი. ისრაელის არმიის დანაყოფებმა ქალაქში ჩატარებული რეიდის დროს სამი პალესტინელი დააკავეს, რომლებიც სპეცსამსახურთა მიერ ე.წ. "შავ სიაში" იყვნენ შეყვანილნი. დაკავებულები ისრაელის უშიშროების სამსახურის "შაბაკის" წარმომადგენლებმა გუშინვე დაკითხეს.

ნაბლუსის პარალელურად, 13 ტანკისაგან შემდგარი სამხედრო კოლონა მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ რამალაშიც შევიდა. როგორც ცნობილია, რამალაში პალესტინის ადმინისტრაციის შტაბ-ბინაა განლაგებული. ებრაელმა სამხედროებმა სრულ ბლოკადაში მოაქციეს ადმინისტრაციის შენობა, სადაც ავტონომიის მეთაური იასირ არაფატი იმყოფება.

ისრაელის არმიამ ქალაქი ჯენინი და თულქარმეც დაიკავა. ჯენინი პალესტინელი ექსტრემისტების ერთ-ერთ საყრდენ ქალაქად ითვლება. აქ ისრაელის არმიის ტანკების გამოჩენას პალესტინელებმა ცეცხლით უპასუხეს, თუმცა საპასუხო სროლის შედეგად მათი წინააღმდეგობა დათრგუნული იქნა.

მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს პარალელურად, მდგომარეობა საგრძნობლად დაიძაბა ღაზას სექტორშიც, სადაც ებრაელებმა არანაკლები სამხედრო ძალები განათავსეს.

ისრაელის მთავრობა თავის მოქმედებაში აბსოლუტურად თავისუფალია. ოფიციალურ თელ-ავივს საერთაშორისო საზოგადოების და მთავრობების მხარდაჭერა ამჟამად უკვე გარანტირებული აქვს.

იერუსალიმში მომხდარ ტერაქტს საერთაშორისო არენაზე ფართო გამოხმაურება მოჰყვა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამასთან დაკავშირებით პირველი კომენტარი ვაშინგტონმა გააკეთა. თეთრმა სახლმა პალესტინის ხელისუფლებას დაუყოვნებლივი რეაგირება მოსთხოვა. კერძოდ, პალესტინის ადმინისტრაციამ მის ტერიტორიაზე მოქმედი ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ სასწრაფო სპეცზომები უნდა განახორციელოს. ვაშინგტონმა ამით პალესტინის ადმინისტრაციას ცხადად აგრძნობინა, რომ თუკი პალესტინელები მათ ტერორისტ თანამემამულეებს ვერ მოთოკავენ, მაშინ ამას ისრაელი გააკეთებს, რაშიც თელ-ავივს ოკეანის გაღმიდან სრული მხარდაჭერა ექნება. თეთრი სახლის ამჟამინდელი განცხადება წინა მიმართვებისგან რადიკალურად განსხვავდება.

თუკი ადრე აშშ-ს ადმინისტრაცია ისრაელს თავშეკავებისკენ და მშვიდობის დაცვისაკენ მოუწოდებდა, ახლანდელ განცხადებაში ამის შესახებ სიტყვაც კი არ არის ნათქვამი. ამდენად, ისრაელს ტერორიზმთან ბრძოლაში ამერიკისგან მწვანე შუქი აქვს ანთებული.



ისრაელის არმია პალესტინის მთელ ტერიტორიაზე სამხედრო რეიდებს ახორციელებს.

ტერაქტის შემდეგ თეთრი სახლის მეთაური ჯორჯ ბუში ისრაელის და პალესტინის პრემიერ-მინისტრებს ტელეფონით ესაუბრა. როგორც იუწყებიან, არიელ შარონმა ბუშს განუცხადა, რომ ვიდრე პალესტინელები უარს ამბობენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებაზე, სამშვიდობო პროცესში არავითარი პროგრესი არ იქნება. **"აშშ-სა და ისრაელის ყველანაირი ზეწოლის მიუხედავად, პალესტინის ადმინისტრაცია ტერაქტის აღმოფხვრის მიზნით არავითარ ნაბიჯებს არ დგამს და ამის შედეგი კი იერუსალიმში მომხდარი საშინელი ტერორისტული აქტია,"** - განაცხადა არიელ შარონმა ჯორჯ ბუშთან სატელეფონო საუბარში. ბუშმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ ტერორიზმის საკითხში კომპრომისის დაშვება არ შეიძლება და ქალების და ბავშვების მკვლელები მკაცრად უნდა დაისაჯონ.

ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის უკიდურესად დაძაბვის ფონზე აშშ-ს სპეცწარმომადგენელი ჯონ ვულფი ვაშინგტონიდან რეგიონში ბრუნდება. ისრაელის მთავრობის და საზოგადოების წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ ვულფი ტერორიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის გამოცხადების აუცილებლობაში პალესტინის ადმინისტრაციის დარწმუნებას შეძლებს.

ისრაელი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას ევროპასაც სთხოვს. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა სილვან შალომ თავის გერმანელ, ფრანგ, ბრიტანელ, რუს და იტალიელ კოლეგებთან მოლაპარაკებები გამართა და ტერორიზმის დასამარცხებლად ერთობლივი ძალისხმევისაკენ მოუწოდა. შალომ უკვე კატეგორიულად მოითხოვა, რომ ევროპის ქვეყნებმა "ჰამასი" ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიყვანონ და ამასთანავე, ევროპაში ამ ორგანიზაციას დაფინანსების არხები გადაეკეტოს.

ვიდრე ევროპა თავის სამოქმედო გზას აირჩევს, ისრაელი უკვე გადამწყვეტ მოქმედებებზე გადადის. ტერორისტთა ლიდერების ლიკვიდაცია "წერტილოვანი დარტყმების" გამოყენებით დაწყებულია. გუშინვე ებრაული ვენდეტას პირველი მსხვერპლიც ცნობილი გახდა. ისრაელის არმიამ ღაზას სექტორში სარაკეტო დარტყმით "ჰამასის" ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი აბუ შანაბი გაანადგურა. მისი ავტომანქანის მიმართულებით ვერტმფრენიდან ხუთი რაკეტა გაუშვეს. აბუ შანაბთან ერთად მისი თანმხლები ორი პირი ადგილზე დაიღუპა.

**"აბუ შანაბის მკვლელობა ნიშნავს იმას, რომ სიონისტებმა ზავი შეწყვიტეს და მოძრაობა "ჰამასი" ამ დანაშაულზე მთელ პასუხისმგებლობას სიონისტ მტრებს აკისრებს,"** - განუცხადა ჟურნალისტებს "ჰამასის" ერთ-ერთმა ლიდერმა ალ-ჰანიამ. მისი თქმით, შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე აღარ არსებობს. "ჰამასი" საპასუხო დარტყმებისათვის სრულ მობილიზაციას აცხადებს და ისრაელს ტერაქტების მთელი სერიით ემუქრება. მოსალოდნელია, რომ მის მაგალითს "ისლამური ჯიჰადიც" მიბაძავს. პალესტინის პრემიერ-მინისტრი აბუ მაზენი კი, თავის მხრივ, მათთან საბრძოლველად ემზადება. ამდენად, ახლო აღმოსავლეთში სისხლიანი ვენდეტა დაიწყო. დამკვირვებლები შიშობენ, რომ ბრძოლის ეს ეტაპი კონფლიქტის მთელი ისტორიის განმავლობაში ყველაზე ტრაგიკული იქნება.

# გაერო-ს ოფისის აფეთქება: დამნაშავე უცნობია

შოთა უტიაშვილი

"ყველა ქვის გადაბრუნება რომ დაგვჭირდეს, დამნაშავეებს მაინც ვიპოვით," – განაცხადა ერაყის ამერიკელმა მმართველმა პოლ ბრემერმა ოთხშაბათს, ბაღდადში გაერო-ს შტაბ-ბინის აფეთქების შემდეგ. თუმცა ვის, ან რატომ უნდა აეფეთქებინა ცისფერდროშიანი შენობა, ჯერ არავინ იცის.

ექსპერტები აცხადებენ, რომ გაერო-ს შენობასთან მომხდარი ტერაქტი ლოგიკური გაგრძელება იყო არასამხედრო სამიზნეებზე თავდასხმების მთელი ჯაჭვისა. ორი კვირის წინ, ტერორისტებმა იორდანიის საელჩო ააფეთქეს და 17 ადამიანი მოკლეს, გასულ კვირას დივერსიები მოხდა წყალსადენზე და ნავთობსადენზე. "ჩვენთვის ეს თავდასხმები შოკისმომგვრელი იყო, მაგრამ არა მოულოდნელი," – განაცხადა ერაყის მმართველი საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა.

ჯერჯერობით უცნობია, თავდასხმა პირადად გაერო-ს ელჩის, სერჟიო ვიეირა დე მელოს წინააღმდეგ იყო მიმართული თუ არა. 250 კილოგრამი პლასტიკური ასაფეთქებელი მასალით დატვირთული მანქანა პირდაპირ მისი ფანჯრების ქვეშ აფეთქდა. დაჭრილი ელჩი ნანგრევებიდან გამოსვლას სამი საათის მანძილზე ცდილობდა, მაგრამ ვერ შეძლო და ადგილზევე დაიღუპა.

უკანასკნელი ცნობებით, მასთან ერთად დაიღუპა გაერო-ს ოფისის კიდევ 19 თანამშრომელი. შიშობენ, რომ მსხვერპლის რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს. დღის 4 საათზე, როდესაც აფეთქება მოხდა, შენობაში ბევრი ადამიანი იმყოფებოდა, რომლებიც, შეიძლება, ნანგრევების ქვეშ იყვნენ მოყოლილნი.

ბოლო ინფორმაციით, აფეთქება ტერორისტმა-კამიკაძემ განახორციელა, რომელმაც ასაფეთქებელი მასალა C4-ით დატვირთული სატვირთო მანქანა გაერო-ს შტაბ-ბინის ღობეს შეაჯახა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი ხმა მთელ ქალაქში გაიგონეს. 1500 მეტრის რადიუსში ყველა ფანჯარა ჩაიმტვრა, გაერო-ს შენობის მიმდებარე ფლიგელი კი მთლიანად დაინგრა.

გაერო-ს მისიის თანამშრომლებს უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ ისინი მშვიდობიან, სამოქალაქო ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, ამიტომ შენობას დაცვა თითქმის არ ჰყავდა. ცენტრალური შესასვლელის წინ ორიოდე ამერიკელი სამხედრო იდგა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერ არავის აუღია. ექსპერტებს ორი მთავარი ვერსია აქვთ: აფეთქება ან ჰუსეინის მომხრეთა მოწყობილია, ან ისლამისტი ფუნდამენტალისტებისა. ეს უკანასკნელნი ამ ბოლო დროს განსაკუთრებით მომრავლდნენ ერაყში. "თუ თქვენ ტერორისტი ხართ და ამერიკელების დახოცვა გინდათ, ერაყზე უკეთეს ადგილს ვერ ნახავთ," – ამბობს სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე ჯეიმს რუბინი. ამერიკელებმა კიდევ ერთხელ გააფრთხილეს ირანი და სირია, მათ ტერიტორიაზე არ გაატარონ ერაყში მიმავალი ტერორისტები. გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ მომხდარში შეიძლება ალ-ქაიდას, ან ადგილობრივი ტერორისტული ორგანიზაცია ანსარ ალ-ისლამის ხელი ერიოს.



გაერო-ს ოფისის აფეთქებული შენობა ერაყში.




ტერაქტზე საერთაშორისო გამოხმაურებამ არ დააყოვნა. მისიის ბრაზილიელი ხელმძღვანელი დე მელო დიდი საერთაშორისო ავტორიტეტით სარგებლობდა. ადრე იგი აღმოსავლეთ ტიმორის საერთაშორისო ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა, მოგვიანებით კი გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი იყო. მისი დაღუპვის გამო, ბევრმა ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციამ მწუხარება გამოთქვა.

პრეზიდენტ ბუშის განცხადებით, ისინი ვინც ტერაქტი ჩაიდინა, "ცივილიზაციის მტრები" და "მკვლელები" არიან. ტერაქტი მკაცრად დაგმეს დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის მთავრობამაც. გაერო-ს უშიშროების საბჭოს სახელით, მისმა სირიელმა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მომხდარი ტრაგედია ხელს არ შეუშლის გაერო-ს, ერაყში თავისი მისია შეასრულოს.

გაერო არ ყოფილა ერაყში საოკუპაციო ხელისუფლების ნაწილი და სამხედრო და პოლიტიკურ საკითხებში არ ერეოდა. მის მთავარ ფუნქციას ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება და განაწილება, ძირითადი ინფრასტრუქტურის აღდგენაში დახმარება, ლტოლვილთა განსახლება და მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

ერაყის ხელისუფლება ტერორისტების ახალ ტაქტიკაზე ალაპარაკდა. თუკი აქამდე ერაყის წინააღმდეგობის მოძრაობის მთავარ სამიზნეს შეიარაღებული ამერიკელი ჯარისკაცები წარმოადგენდნენ, ამჯერად დარტყმის ქვეშ, როგორც ვთქვით, არასამხედრო სამიზნეები მოხვდა. ერთი შეხედვით, ისეთი ობიექტების აფეთქება, როგორიცაა წყალსადენი ან ელექტროგადამცემი ხაზი, ერაყელებს უფრო აზარალებს, ვიდრე ამერიკელებს. მაგრამ, წინააღმდეგობის მოძრაობას, როგორც ჩანს, იმედი აქვს, რომ მოსახლეობაში არსებული ყოველგვარი უკმაყოფილება ავტომატურად ამერიკელების წინააღმდეგ იქნება მიმართული.

"თუ ამერიკელების დახოცვა გინდათ, წადით და გარეთ დახოცეთ, რა ხელი გაქვთ მშვიდობის სახლთან," – შეუყვირა გაერო-ს ოფისის ერაყელმა დარაჯმა აფეთქების შემდეგ თავშეყრილ ხალხს.

ექსპერტების აზრით, ამ ტერაქტის ორგანიზატორებმა თავიანთ ქვეყანას (თუკი ისინი ერაყელები იყვნენ) ძალიან ცუდი საქმე გაუკეთეს, რადგან წინააღმდეგობის მოძრაობას ლეგიტიმურობის ყოველგვარი ნიშანწყალი ჩამოაცილეს. მათ საბოლოოდ ხაზი გადაუსვეს იმედს, რომ გაერო ქვეყნის მართვას თავის თავზე აიღებდა და ამით ამერიკულ ოკუპაციას დაასრულებდა.

# „ქიმიური ალი" დაპატიმრებულია, ჯერი სადამზე მიდგა

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ, ერაყში "ქიმიურ ალიდ" წოდებული გენერალი ალი ჰასან ალ-მაჯიდი დააპატიმრეს. ის აწ დამხობილი დიქტატორის, სადამ ჰუსეინის ბიძაშვილი და მრჩეველი იყო. ალი ჰასან ალ-მაჯიდი ერაყის სამხრეთის ფრონტს ხელმძღვანელობდა და ამერიკელთა მიერ ძებნილი ერაყელების სიაში 55-ე ნომრად იყო გამწესებული.*

ადრე საინფორმაციო საშუალებები "ქიმიური ალის" დაღუპვის შესახებ იუწყებოდნენ. ამის განცხადების საფუძველს კი იძლეოდა ის ფაქტი, რომ აპრილში გენერალ ალ-მაჯიდის სახლზე მასიური დაბომბვა განხორციელდა. აშშ-ს არმიის სარდლობა, სადაზვერვო ინფორმაციაზე დაყრდნობით ვარაუდობდა, რომ იერიშის დროს გენერალი სახლში იმყოფებოდა. იმდროინდელი ინფორმაციის თანახმად, ბრიტანელმა სამხედროებმა, თითქოსდა, მისი გვამიც კი აღმოაჩინეს. **"ქიმიური ალის გვამი ბასრას უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფის გვამთან ერთად იპოვეს,"** - განაცხადა ჯერ კიდევ აპრილში ბრიტანული არმიის სარდლობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მაიორმა ენდრიუ ჯეკსონმა. დღეს კი უკვე ცხადი ხდება, რომ ბრიტანელებმა ან დეზინფორმაცია გაავრცელეს, ან "ქიმიური ალი" სხვაში შეეშალათ.

გენერალმა ალი ჰასან ალ-მაჯიდმა "ქიმიური ალის" მეტსახელი ჯერ კიდევ 80-იან წლებში მიიღო. 1988 წელს მან ჩრდილოეთ ერაყში ქურთი ამბოხებულების წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენების ბრძანება პირადად გასცა. ამის შედეგად ხუთი ათასზე მეტი მშვიდობიანი ქურთი განადგურდა.

ახლა კი "ქიმიური ალი" ამერიკელთა ტყვეობაში იმყოფება. მისი დაკავების დეტალები არ ხმაურდება. უფრო მეტიც, პენტაგონი ამ ინფორმაციის დადასტურებისაგან თავს იკავებს. ფლორიდაში აშშ-ს ცენტრალური სარდლობის წარმომადგენლის განცხადებით, ინფორმაცია "ქიმიური ალის" დაპატიმრების თაობაზე მოწმდება.

ორი დღის წინ კი, ჯერ ქურთების, ხოლო შემდეგ ამერიკელთა ტყვეობაში ერაყის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ტაჰა იასინ რამადანი აღმოჩნდა. მისი და "ქიმიური ალის" დაპატიმრების ფაქტები ცხადად მოწმობს, რომ წრე სადამ ჰუსეინის გარშემო სულ უფრო და უფრო ვიწროვდება. გასაკვირი არ უნდა იყოს, თუკი ერთ მშვენიერ დღეს მისი ლიკვიდაციის ან თვითმკვლელობის შესახებ შევიტყობთ ცნობას, რადგან ნაკლებად საეჭვოა, ერაყის ყოფილი დიქტატორი მტერს ცოცხალი ჩაბარდეს.

მისი მიგნების მიზნით, ამერიკელები მოქმედებებს ყოველდღიურად აქტიურებენ. გუშინ ბაღდადში აშშ-ს არმიის სპეცრაზმმა იერიში მიიტანა ერთ-ერთ სახლზე, სადაც მათ თავად სადამ ჰუსეინი ეგულებოდათ. ოპერაციის შედეგად ხუთი ადამიანი დააპატიმრეს, მაგრამ სადამი იქ არ აღმოჩნდა.

ამერიკელები ამტკიცებენ, რომ ისინი ჰუსეინს კვალში უდგანან და ფეხდაფეხ მიჰყვებიან, რაც ყოფილ დიქტატორს აიძულებს, თავშესაფარი ყოველ 3-4 საათში გამოიცვალოს. ნადირობის ზონაში ბაღდადი და ჩრდილოეთ ერაყი შედის, სადაც სადამის მშობლიური ქალაქი თიქრითი მდებარეობს.



"ქიმიურ ალიდ" წოდებული ალი ჰასან ალ-მაჯიდი.

სადამის ისედაც დამძიმებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს მისი შეპყრობისათვის დაწესებული კოლოსალური თანხა – 25 მილიონი ამერიკული დოლარი. ეჭვგარეშეა, რომ ამის გამო ჰუსეინზე ამერიკელების მხარდამხარ მისი თანამემამულეებიც აქტიურად ნადირობენ. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ჯილდოდ გაცემის პრეცენდენტი უკვე შექმნილია. უდაი და ქუსაი ჰუსეინების ლიკვიდაცია ხომ ერაყელი ინფორმატორის მეშვეობით გახდა შესაძლებელი. სადამის შვილებზე 15-15 მილიონი ამერიკული დოლარი იყო დაწესებული. ინფორმატორმა 30 მილიონი უკლებლივ მიიღო, ანონიმურობაც შეინარჩუნა და, როგორც იტყობინებიან, ამერიკელთა დაცვის ქვეშ საიმედოდ გრძნობს თავს. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ მისი საქციელი სამაგალითო გახდეს და ერაყში კიდევ ერთი ოფიციალური მულტიმილიონერი გამოჩნდეს, ამჯერად უკვე სადამის "ჩაშვების" წყალობით.

დისკუსია

# პროფესიული ლიგა ურთიერთობებზე ზრუნავს



გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში კოორდინირებულ მუშაობაზე იმსჯელეს

ქართული ფეხბურთის მრავალრიცხოვან ნაკლოვანებათა შორის ერთ-ერთი კლუბებისა და მედიის ურთიერთობაა, უფრო სწორად, კლუბების ურთიერთობა მედიასთან და არა პირიქით. სტადიონზე მისულმა ჟურნალისტმა, შესაძლოა, საერთოდ ვერ აღმოაჩინოს პრესლოჟა, ან იქ, უბრალოდ, არ იყოს მისი ადგილი. თუ ყველაფერი კარგად იქნა - ლოჟაც ადგილზეა და დასაჯდომი ადგილიც არის, ხომ კარგი, პირველი ეტაპი გადალახულია, მაგრამ ვინ იცის, წინ რა გელოდება. უმეტეს შემთხვევაში, მატჩის ოქმს ვინმე ერთი ან ორი თუ ჩაიგდებს ხელში და იწყება ერთმანეთისგან შემადგენლობის გადაწერა. არადა, თითქოს რა დიდი სიძნელეა ოქმის გამრავლება და ჟურნალისტებისთვის დარიგება. მატჩის ბოლოს კი იმაზე უნდა იოცნებო, ეგებ მწვრთნელმა პატივი დაგდოს, პრესკონფერენციაზე მობრძანდეს და ამა თუ იმ შეკითხვაზე პასუხი გაგცეს.

რა თქმა უნდა, ეს საკითხები ზოგან მოგვარებულია, მაგალითად, "დინამოში", "ლოკომოტივში", მაგრამ მარტო ეს ორი გუნდი ხომ არ მონაწილეობს საქართველოს ჩემპიონატში, თანაც, წვრილ-წვრილი პრობლემები აქაც იჩენს ხოლმე თავს. სწორედ ამ პრობლემების მოსაგვარებლად გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა პროფესიული ლიგისა და კლუბების პრესატაშეთა შეხვედრა. გადაწყდა, რომ თითოეულ კლუბს უნდა ჰქონდეს პრესლოჟა და იქ მხოლოდ ჟურნალისტები ისხდნენ, ამასთან, ყოველ მათგანს უნდა ჰქონდეს მატჩის ოქმი. რაც შეეხება მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მწვრთნელების დასწრება-არდასწრების საკითხს, ამის კონტროლი მატჩის დელეგატს დაევალა. სწორედ დელეგატმა უნდა ჩაწეროს შეხვედრის ოქმში, დაესწრო თუ არა ამა თუ იმ კლუბის მწვრთნელი პრესკონფერენციას. ამაზე უარის მთქმელს პირველ შემთხვევაში 100-ლარიანი ჯარიმა ელის, ხოლო შემდეგ თითოეულ უარზე საჯარიმო თანხა გაორმაგდება. ასევე გადაწყდა: სტადიონის კიდიდან გასახდელამდე განთავსდეს პროფესიული ლიგის ლოგოიანი დაფები. ამიერიდან ჟურნალისტებს სწორედ ამ დაფების ფონზე მოუწევთ მწვრთნელებთან თუ სპორტსმენებთან გასაუბრება.

ჭიდაობა

# მსოფლიო ჩემპიონატი ყველასია

ბიბა ბურასაშვილი

საჭიდაო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატების სეზონს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ახალგაზრდები ხსნიან. ვიდრე მათი უფროსი კოლეგები ხალიჩაზე გავიდოდნენ ("თავისუფლები" - 12-14 სექტემბერი, ნიუ იორკი. ბერძენ-რომაელები - 2-5 ოქტომბერი, კრიტე, საფრანგეთი), ახალგაზრდულ ნაკრებებს საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება თუ თავის წარმოჩენის საშუალება სტამბულის მსოფლიო ჩემპიონატზე მიეცემათ. თუ რამდენად წარმატებული იქნება ახალგაზრდა ფალავნებისთვის მსოფლიო ჩემპიონატი, ამისთვის დიდი ხნით მოცდა არაა საჭირო - სტამბულში 24 აგვისტოს გაშლიან ხალიჩას, ასპარეზობა კი 31-ში დასრულდება.

დიდების მსოფლიო ჩემპიონატისგან განსხვავებით, თურქეთის ჭიდაობის ფედერაციამ ორივე ჩემპიონატის ("თავისუფლები" და ბერძენ-რომაელები) მასპინძლობა თვითონ ითავა, რაც, ალბათ, უფრო მიზანშეწონილია.

2001 წელს დიდების თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა და ბერძენ-რომაელთა გაერთიანებული მსოფლიო ჩემპიონატისთვის ნიუ იორკს უნდა ემასპინძლა, მაგრამ 11 სექტემბრის ტერაქტმა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მოხელენი იძულებულნი გახადა, ჩემპიონატი დაექსაქსა - ბულგარეთსა და საბერძნეთში გადაეტანა.

ახლა ისევ ახალგაზრდულ ნაკრებებს დავუბრუნდეთ. თავდაპირველად "თავისუფლებზე" ვთქვათ, რადგან ჯერ მათ უხმობენ ხალიჩაზე, მერე კი ესტაფეტას ბერძენ-რომაელები ჩაიბარებენ.

"თავისუფლების" მთავარი მწვრთნელის ნუგზარ სხირელის თქმით, ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველი შეკრება გაიარა ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ ანგისაში, სადაც, ძირითადად, საერთო ფიზმომზადებას დაუთმეს ყურადღება. შემდეგ თბილისში ჩამოვიდნენ და "მართვეს" (ყოფილი "შრომითი რეზერვები") სპორტკომპლექსში გააგრძელეს მზადება. დავინტერესდით, თუ რა შედეგებს უნდა ველოდეთ სტამბულში, მაგრამ როგორც ნუგზარ სხირელმა გვითხრა, პროგნოზების კეთებას აზრი არა აქვს, რადგან საქართველოს ნაკრები, ისევე როგორც მეტოქეთა გუნდები, დებიუტანტებითაა დაკომპლექტებული. ამის გამო მეტოქეებზე ინფორმაცია არა აქვს. თუმცა, იქვე დაუმატა: მთავარია, რომ გუნდი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადააო.

გაგაცნობთ იმ ფალავანთა ვინაობას, რომლებიც სტამბულის ხალიჩაზე გავლენ: ვალერი რიკაძე (50კგ), მალხაზ ქურდიანი (55), კობა კაკალაძე (60), კადეტთა შორის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ცოტნე ბარამიძე (66), ნიკო ტლაშაძე (74), ვასილ ჩოხელი (84), ბაჩანა კარანაძე (96) და მძიმეწონოსანი ზვიად სისაური. სხვათა შორის, სისაური შარშან ევროპის ჩემპიონატზე 96 კგ წონაში გამოდიოდა და მესამე ადგილი დაიკავა. წლეულს კი საქართველოს ჩემპიონატზე ამ წონაში წააგო და მწვრთნელებმა იგი მძიმე წონაში დააყენეს.

ფაქტობრივად, იმავე პროგრამით მთავარი მწვრთნელის ლადო ადეიშვილის ზედამხედველობით გაიარეს შეკრება ბერძენ-რომაელებმაც. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ბერძენ-რომაელთა ნაკრების ორ წევრს ლაშა ლომაძესა (60) და რამაზ ნოზაძეს (96) დიდებში ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის გამოცდილება აქვთ. ამასთან, ნოზაძემ მისთვის სადებიუტო დიდების ევროპის ჩემპიონატზე ბელგრადში ჩემპიონობა მოიპოვა. ასე რომ, მისგან წარმატებას ელიან, ისევე როგორც ნაკრების დანარჩენი წევრებისგან: მალხაზ სოლომონიძე (50), დავით ბედინიძე (55), რომან ბაკურაძე (66), რამინ ფევაძე (74), ლუკა ბოძაშვილი (84) და რევაზ ჭელიძე (მძიმე წონა).

საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები დღეს, დილით, სტამბულის გზას დაადგა.

TV-სპორტი

## პარასკევი 22. აგვისტო

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "რომა" – "ლაციო"
15:00 "FUTBOL MUNDIAL"
15:30 ამხანაგური მატჩი. გერმანია – იტალია
17:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კორინთიანსი" – "ვასკუ და გამა"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ბეტისი" – "რეალ სოსიედადი"
21:05 "პოსტსკრიპტუმი"
21:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
22:05 "გაიტანე!"
22:20 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. ნახევარფინალი. "ბარსელონა" - "ვალენსია"
00:05 გერმანიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
01:05 "პოსტსკრიპტუმი"

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:15, 17:00, 20:15, 22:00 პრესცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ
14:30 "ჩქაროსნული სამყარო"
15:00 "ჰოკეის საღამო"
15:30 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
16:00 ტაილანდური კრივი
17:15 სეზონის საუკეთესო ტრანსლაციები. ამერიკული ფეხბურთი. Super Bowl
20:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ავსტრიიდან
21:00 WNBA საკალათბურთო მიმოხილვა
21:30 "სპორტული გლობუსი"
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ
01:00 ახალი ამბები
01:15 WNBA საკალათბურთო მიმოხილვა
01:45 ტაილანდური კრივი
02:40 02:40-დან 05:55-მდე შესვენება
05:55 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 მძლეოსნობა. პარიზი 2003. პრემიერის წინ
12:00 ჩოგბურთი. US Open ლეგენდები
13:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი აშშ
14:00 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონთა თასი ჰოლანდიაში
15:00 მძლეოსნობა. სპრინტერები
15:15 მძლეოსნობა. პარიზი 2003. პრემიერის წინ
15:45 მძლეოსნობა. გრან-პრი შვეციაში
17:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
18:00 მძლეოსნობა. გრან-პრი დიდ ბრიტანეთში
20:00 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონთა თასი ჰოლანდიაში
21:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
21:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
22:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
23:30 "ფორმულა 1"
00:00 რალი რეიდი. მსოფლიო თასი
00:30 "სპორტი და ძრავები"
00:45 "სპორტი და ძრავები"
01:15 მძლეოსნობა. სპრინტერები
02:00 მძლეოსნობა. პარიზი 2003. პრემიერის წინ
02:30 ახალი ამბები
02:45 ჩოგბურთი. US OPEN ლეგენდები
03:45 რალი. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
04:15 სპორტსკარი. დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატი
04:30 ახალი ამბები

ჩოგბურთი

# ორშაბათს დიდი ფიესტა იწყება

ორშაბათს "დიდი სლემის" მეოთხე, უკანასკნელი ტურნირი იწყება. მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები მილიონი დოლარის მოსაგებად მოიმართებიან. სწორედ ამდენს მიიღებს ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებული. ფინალისტს ნახევარი მილიონი ერგება. ნახევარფინალისტს 250 ათასი, მეოთხედფინალისტს 125 და ასე შემდეგ.

ამ მილიონი დოლარის მომგებ უმთავრეს ფავორიტებად ვაჟებში ანდრე აგასის ხუან კარლოს ფერეროსა ენდი როდიკს და წლევანდელი უიმბლდონის ტრიუმფატორ შვეიცარიელ როჟე ფედერერს ასახელებენ. ფერერო და ფერერო და როდიკი თიხნარზე ძალიან კარგად თამაშობენ. ფედერერს უიმბლდონის მოგების შემდეგ გული ერჩია ამერიკაში გამარჯვებისთვის, ხოლო ანდრე აგასის მელბურნის კორტებზე მოწყობილი სპექტაკლის შემდეგ (აგასიმ ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო), სურს ღირსეულად დაასრულოს წლევანდელი სეზონი და ამით მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველობა შეინარჩუნოს.

ქალთა ნახევარში მთავარი სიურპრიზი ის არის, რომ სერენა უილიამსმა უარი განაცხადა ტურნირში მონაწილეობაზე. მას ტრავმა აწუხებს და დასვენება გადაწყვიტა. კულუარებში კი საუბრობენ, რომ სერენამ ამ ნაბიჯით უფრო თავის დას ვინუსს გაუხსნა გამარჯვებისკენ გზა. ვინუსს დიდი ხანია "დიდი სლემის" ტურნირი არ მოუგია და უილიამსების ოჯახში მიიჩნევენ, რომ ამის დრო დადგა. სერენა თავისი დისთვის უაღრესად უხერხული მეტოქეა, ამიტომ მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი უმცროსი უილიამსის დასვენებაა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა "დიდი სლემის" ტურნირებზე ოჯახური ფინალები იმართებოდა და, ცხადია, ვინუსს ამერიკაში გამარჯვებისთვის დიდი ოფლისღვრა მოუწევს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბელგიელ კლიისტერსს ან ჟიუსტინ ენინ-არდენს გადაეყრება.

ასე, რომ ორშაბათს დიდი ფიესტა იწყება. უკვე გაიმართა კენჭისყრა და შეიკრა სატურნირო ბადე. გთავაზობთ კენჭისყრის შედეგებს.







ფეხბურთი

# გაზაევი გადადგა

## დუბლინისკენ გახედვაც არ გვინდა - აცხადებენ რუსი ჟურნალისტები



კოლოსკოვმა გაზაევს ხელი დაუქნია

ოთხშაბათს მოსკოვში, "ლოკომოტივის" სტადიონზე ებრაელებმა რუსთა გაზაევისეულ ნაკრებს შავი დღე აყარეს - 2:1 დაამარცხეს და ვალერი ვასილიევიჩის სანაკრებო კარიერა შეიწირეს. მატჩის შემდეგ რუსთა ულვაშა დამრიგებელს სათქმელი აღარ ჰქონდა. "მივდივარ. ხვალვე შევალ ვიაჩესლავ კოლოსკოვთან განცხადებით გადადგომის შესახებ. ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა", - აცხადებდა ვალერი გაზაევი და ამით თითქოს საკუთარი პერსონის ერთგვარ რეაბილიტაციასაც ახდენდა.

"ეს ამბავი, ადრე თუ გვიან, უნდა მომხდარიყო. არ შეიძლება, მწვრთნელი ერთდროულად ორ საქმეს აკეთებდეს: კლუბშიც და ეროვნულ ნაკრებშიც, - ამბობენ რუსი ჟურნალისტები, - მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ გაზაევის გადადგომა ირლანდიის ნაკრებთან პრინციპულ მატჩს დაემთხვა. ახლა ირლანდიისკენ გახედვაც აღარ გვინდა".

ფიქრობენ რუსები და არც გაემტყუნებათ. ირლანდიის ნაკრებისთვის რუსთა ძლევას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ეჭვგარეშეა, რომ გუნდი, რომელიც ბრაიან კერის ხელმძღვანელობით ერთხელაც არ დამარცხებულა, ყველაფერს იღონებს გამარჯვების მოსაპოვებლად. ირლანდიელებმა ამ მატჩისთვის რობი კინი დაკარგეს, მაგრამ სლავების დანაკარგი გაცილებით მეტია. რუსებს არ ჰყავთ მწვრთნელი და, ბუნებრივია, უაღრესად დაბნეულნი არიან.

ვალერი გაზაევმა პირობა შეასრულა და ხუთშაბათს ფეხბურთის ფედერაციას გადადგომის შესახებ განცხადებით ეახლა. ვიაჩესლავ კოლოსკოვმა, თითქოს ელოდაო, მწვრთნელის განცხადება მყისვე მიიღო. რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრესცენტრის ცნობით, ახალი მწვრთნელის ვინაობა მომავალი კვირის დასაწყისში გახდება ცნობილი.

კოლოსკოვი ჯერ კიდევ მატჩამდე აცხადებდა, რომ გაზაევი მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს თანამდებობას, თუ ამის სურვილს თვითონ გამოთქვამს. გაზაევმა სურვილი გამოთქვა და ბოლოს ფეხბურთელებიც საქმისადმი არაპროფესიულ დამოკიდებულებაში ამხილა.

მოსკოვში გავრცელებული ხმების თანახმად, შესაძლოა, ვალერი გაზაევმა ცსკა-ს მთავარი მწვრთნელის პოსტიც დატოვოს (გუნდის, რომელიც მან ეროვნულ ნაკრებზეც კი ვერ გაცვალა), რადგან გუნდი, რომელსაც ის ავარჯიშებს, რბილად რომ ვთქვათ, არ ბრწყინავს. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, მომავალ კვირაში უმწვრთნელოდ დარჩეს რუსთა ეროვნული ნაკრები და რუსეთის ჩემპიონატის ლიდერიც.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრესსამსახურში ახალი, სავარაუდო მწვრთნელის ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებენ, თუმცა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა ებრაელებთან მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ალექსანდრ ბოროდიუკის კანდიდატურას განიხილავს. "კანდიდატთა დასახელება ნაადრევია", - განაცხადა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა.

**ანატოლი ბიშოვეცი:** "გაზაევის გადადგომა ჩვენი ფეხბურთის აგონიის მაუწყებელია, შედეგია იმ პოლიტიკის, რომელსაც 1998 წლიდან ვატარებთ. ამის შედეგს ახლა ვიმკით".

**ვალენტინ ივანოვი:** "გაზაევი მიხვდა, რომ არაფრის გაკეთება აღარ შეეძლო. ეს ნორმალური სიტუაციაა, როცა მთავარ მწვრთნელს მისი თანაშემწე ცვლის. შექმნილ სიტუაციაში ამ საქმეს სხვა ხელს არ მოჰკიდებდა."

# რუსული რევოლუცია



აბრამოვიჩი კრესპოსაც ყიდულობს

პაატა თოთაძე

საინტერესოა, კიდევ რამდენის დახარჯვას აპირებს რომან აბრამოვიჩი "ჩელსიზე". მას შემდეგ, რაც რუსი ოლიგარქი კლუბის მეპატრონედ მოვიდა, ლონდონურმა კლუბმა ახალი მოთამაშეების გადასაბირებლად უკვე 100-მდე მილიონი გირვანქა დახარჯა, თუმცა, სავარაუდოდ, ახლო მომავალში ეს თანხა მნიშვნელოვნად გაიზრდება. გუშინ დაწყებული "რუსული რევოლუცია", როგორც ბრიტანელი ჟურნალისტები უწოდებენ "ჩელსიში" მიმდინარე ამბებს, კიდევ უფრო აქტუალური გახდება.

იტალიური "პარმადან" ადრიან მუტუს ყიდვის შემდეგ აბრამოვიჩმა კიდევ ორი ტრანსფერი განახორციელა – ერთი უკვე დასრულდა, მეორე კი დღეს-ხვალ დასრულდება. ხუთშაბათს "ლურჯებთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა ერთ-ერთმა საუკეთესო რუსმა ფეხბურთელმა და ნაკრების კაპიტანმა ალექსეი სმერტინმა. სატრანსფერო თანხამ, რომელმაც 6 მილიონი ევრო შეადგინა, სმერტინი კანჩელსკისის შემდეგ ყველაზე ძვირად ღირებულ რუს ფეხბურთელად აქცია. სპეციალისტთა აზრით, "ჩელსის" კარგი საყრდენი ნახევარმცველი სჭირდება და სმერტინის ყიდვაც ამან გამოიწვია. ყველაფერს ემატება ისიც, რომ, დარხეული ხმების თანახმად, კლუბიდან წასვლას აპირებს ფრანგი ემანუელ პეტი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სმერტინი ძირითად შემადგენლობაში ავტომატურად მოხვდება? "ლურჯების" მწვრთნელის კლაუდიო რანიერის თქმით, სმერტინი შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ, შესაძლოა, მას პრემიერლიგასთან შეგუება გაუჭირდეს და გარკვეული ჩავარდნა ჰქონდეს, "ჩელსიში" კი მხოლოდ საუკეთესო ფორმაში მყოფმა ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ. რას უნდა ნიშნავდეს მწვრთნელის ასეთი განცხადება? ამ კითხვას მომავალ კვირას გაეცემა პასუხი. ბრიტანულ მედიაში გაჟონა ინფორმაციამ, რომლის თანახმადაც არისტოკრატები აპირებენ, რუსი ნახევარმცველი "პორტსმუტში" გაანათხოვრონ.

რაც შეეხება მეორე ტრანსფერს, თუ ის მართლაც განხორციელდა, დიდ ხმაურს გამოიწვევს. საქმე ეხება მილანის "ინტერიდან" არგენტინელი ფორვარდის, ერნან კრესპოს ყიდვას. მოლაპარაკებები ფეხბურთელსა და "ჩელსის" შორის უკვე გაიმართა და დადებითადაც დასრულდა – კრესპო ლონდონში გადაბარგებაზე დათანხმდა. ახლა სიტყვა "ინტერზეა", რომელსაც, მართალია, არ ეთმობა არგენტინელი, მაგრამ საეჭვოა, რაიმე გააწყოს ინგლისელებისა და ფეხბურთელის წინააღმდეგ. მით უმეტეს, ლონდონელები მილანელებს მათთვის სარეკორდო თანხას - 25 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. რანიერიმ კრესპოსთვის გუნდში ადგილიც კი გაათავისუფლა – კარლტონ კოული "ჩარლტონში" გაანათხოვრა. ფეხბურთელის აგენტის ფერნანდო იდალგოს სიტყვებიც იმაზე მიუთითებს, რომ კრესპო, ალბათ, "ჩელსიში" გააგრძელებს კარიერას: "ჩემი კლიენტი ჩასული იყო ლონდონში, სადაც პირადი კონტრაქტის პირობები გაარკვია. ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა, კლუბიც და ერნანიც კმაყოფილნი არიან, თუმცა, გადაჭრით იმის მტკიცება, რომ კრესპო "ჩელსიში" ითამაშებს, ნაადრევია. ამის თქმა მხოლოდ კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ შეგვეძლება".

ვითომ ამით დასრულდება ლონდონელთა მოქმედება სატრანსფერო ბაზარზე? ეს უახლოეს ორ კვირაში გაირკვევა, მაგრამ დღემდე არსებული ინფორმაცია ამაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა. თუ ემანუელ პეტი კლუბიდან წავა, სმერტინი კი "პორტსმუთში" გაანათხოვრეს, ვინ ითამაშებს საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე? საამისოდ აბრამოვიჩს და რანიერის შეუგულებიათ ფრანგი კლოდ მაკელელე, რომელიც თანახმაა, "რეალი" მიატოვოს. მაკელელეს სამეფო კლუბში დაბალი ხელფასი აქვს და მის გაზრდას ითხოვს, კლუბი კი ამას არ თანხმდება. ყველაფერმა ამან ფეხბურთელის განაწყენება და კლუბიდან წასვლა გამოიწვია – უკვე რამდენიმე დღეა, ფრანგ ნახევარმცველს "რეალში" არ უვარჯიშია. მართალია, მადრიდელები იმუქრებიან, მაკელელეს სამაგალითოდ დავსჯითო, მაგრამ საეჭვოა, ასე მოიქცნენ. "ჩელსის" მიერ შეთავაზებული 7 მილიონი გირვანქა გაცილებით უკეთესი ვარიანტია, ვიდრე ფეხბურთელის დასჯა. ასეთ შემთხვევაში ხომ ორივე მხარე წაგებული დარჩება?!

## შოუბიზნესი

### ქმარი-რესპოდენტი



ყოფილი მისის ჯაგერი, ჯერი ჰოლი "ბი ბი სი 3-ისთვის" ამზადებს დოკუმენტურ ფილმს, რომელიც გამოიკვლევს, თუ როგორ უყურებენ ცნობილი ადამიანები მისტიკას, გურუებსა და საერთოდ კულტებს. 45 წლის სუპერმოდელი ამ საკითხზე მრავალ ვარსკვლავს გაესაუბრა და მათ შორის თავის ყოფილ ქმარსაც. მიკ ჯაგერმა ღმერთების შესახებ ბევრი ისაუბრა და ისიც გაიხსენა, თუ როგორ შეხვდა 1968 წელს მაჰარიში მაჰეშ იოგის (კაცს, რომელმაც დიდი გავლენა იქონია "ბითლზის" წევრებზე). ბოლოს კი, ცოლის წინაშე რესპოდენტის ამპლუაში აღმოჩენილმა მიკმა დაასკვნა, რომ ყველაზე დიდ სულიერ კავშირს გრძნობს ბერძნულ ღმერთ დიონისესთან, რომელიც ღვინოსა და ნაყოფიერებას მფარველობს.

### კიდევ ერთი ტიტული



ამერიკული "ვოგის" სექტემბრის ნომრის რედაქტორებმა ნიკოლ კიდმანს საპატიო ტიტული მიანიჭეს – ის წითელი ხალიჩის დედოფლად შერაცხეს. ნათქვამის დასადასტურებლად მათ უამრავი ფოტო-მასალა მოიძიეს, საუკეთესო სურათები კი გამოაქვეყნეს კიდეც. სექტემბრის "ვოგის" ოციოდე გვერდზე გადაჭიმულია მოდის ცნობილი ფოტოხელოვანების ენი ლეიბოვიცის, ჰელმუტ ნიუტონის, ირვინგ პენისა და კრეიგ მაქდინის ფოტოები, რომლებზეც კიდმანს ცნობილი დიზაინერების სამოსი აცვია – ხან ვერსაჩეს საღამოს კაბები და ხანაც Agent Provocateur-ის სექსუალური თეთრეული. იქვე კიდმანის მშვენებას ცნობილი დიზაინერი ტომ ფორდიც ამკობს. ის აცხადებს: "ნიკოლი ძალიან ნაზი, მომხიბვლელი, ქალური, ელეგანტური, დარბაისელი, მშვიდი და გაწონასწორებული და თანაც ნამდვილი ვარსკვლავია. ის საერთოდ მომხიბვლელობის ეტალონადაც შეიძლება დავსახოთ".

### კლუნს ახალ რეკლამაში იღებენ



ესპანური მაღაზიების ქსელს "ელ კორტეს" უკვე ესპანეთს გარეთაც ყველა იცნობს და ეს იმ რეკლამების წყალობით ხდება, რომლებშიც ჰოლივუდელი ვარსკვლავები მონაწილეობენ. წინათ "ელ კორტეს" პოპულარიზაციას გვინეტ პელტროუ, შერონ სტოუნი, სილვესტერ სტალონე და ნიკოლ კიდმანი უწევდნენ. ახლა მათ ჯორჯ კლუნიც დაითანხმეს. რეკლამა, რომელშიც კინოს ვარსკვლავი მონაწილეობს ხომ ყველაზე წარმატებულად ჰყიდის რეკლამირებულ პროდუქტს. ჰოდა, "ელ კორტეს" მენეჯერებსაც იმედი აქვთ, რომ ახლა მათ მაღაზიებს ჯორჯ კლუნის უკლებლივ ყველა ფანი მიაწყდება. ესპანელები, ბუნებრივია, არ ასახელებენ თანხას, რაც მათ ვარსკვლავების დაქირავება უჯდებათ. თუმცა, ცხადია, რომ ეს ციფრი ასტრონომიული იქნება. თვითონ ჯორჯ კლუნი კი "ელ კორტეს" რეკლამაში გადაღებას მხოლოდ ჰონორარის გამო დათანხმდა, რადგან მოდურად ჩაცმას ყურადღებას არ აქცევს და შესაბამისად არც "ელ კორტეს" საქონლის ასორტიმენტი აღელვებს. კლუნი აცხადებს: "გადაღებების დროს მაკიაჟს არასდროს ვიკეთებ და არც პირადი სტილისტი მყავს. ვფიქრობ, კაცს არ შეეფერება, როდესაც ასეთ დეტალებზე განუწყვეტლივ ზრუნავს".

# ბათუმური საღამოები

ლია თოფურია

ღია ვერანდაზე ვსხედვართ. ქვევით მწვანეში ჩაფლული გორაკები და ფერადი, არცთუ მთლად ქათქათა ბათუმი მოჩანს, რომლის მიღმა შავი ზღვა ლურჯად ლივლივებს. მართლაც, თვალწარმტაცი სანახაობაა.

კიბეზე ენერგიული ნაბიჯები გაისმა და ვერანდაზე მასიური ფიგურა და მხიარული, კეთილგანწყობილი სახე გამოჩნდა. ეს ცნობილი ტენორი ბადრი მაისურაძეა. იგი სიამოვნებით უერთდება ჩვენს მაგიდას. მეგრული ხაჭაპურის დანახვაზე ხელებს ასავსავებს - "არა, არა, დიეტაზე ვარ", მაგრამ ცხელ შოთებს რაც შეეხება, ცდუნებას ვერ უძლებს... მინერალური წყალი კარგად ჩაციებული აღმოჩნდა. "არ დამღუპოთ, ჩემთვის მხოლოდ თბილი შეიძლება, რა ვქნა...," - იბოდიშებს ჩვენი სტუმარი. "ყველა რომ მაცივარში გვაქვს, - შეფიქრიანდა ჩვენთან დამეგობრებული მიმტანი ელისო, - მოიცათ, რაღაც მოვიფიქრე," - გოგონა გარბის და ბოთლს იქვე თონის კიდეზე დგამს. ყველანი ბატონ ბადრის წინა საღამოს ვერდის "აიდას" დიდ წარმატებას ვულოცავთ. ამ სპექტაკლში მონაწილეობა ხომ გმირობის ტოლფასი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ მგზავრობისა და მშობლიურ ზღვაში ბანაობის შემდეგ მომღერალი ავად გახდა. ექიმის დიაგნოზი სასტიკი განაჩენივით ჟღერდა: ჩირქოვანი ანგინა! "დილით პირს საერთოდ ვერ ვაღებდი, ხმა არ ამომდიოდა, - ჰყვება ჩვენი სტუმარი და გადატანილ მღელვარებას ხელახლა განიცდის, - საღამოს კი სპექტაკლია..." ჩვენთვის უცნობი დარჩა, რა ჯადოქრობას მიმართეს ექიმმა და მისმა თავგანწირულმა პაციენტმა, მაგრამ იმდღევანდელი "აიდა" ბათუმის ოპერის თეატრში ნამდვილი ტრიუმფით დასრულდა.



ბადრი მაისურაძე ისვენებს



კონცერტის წინ

მომღერლის ხალისიანი, მშვენიერი იუმორით შეზავებული საუბარი ინტერესს კიდევ უფრო გვიძლიერებს. ბატონი ბადრი თავაზიანად მთანხმდება, რამდენიმე შეკითხვაზე მიპასუხოს.

ბადრი მაისურაძე სწავლობდა თეატრალურ ინსტიტუტში, დოდო ალექსიძის ჯგუფში, მოღვაწეობდა მიხეილ თუმანიშვილის მიერ შექმნილ კინომსახიობთა თეატრში, გადაღებულია გიორგი შენგელაიას, მიხეილ ჭიაურელის, რეზო ესაძის ("ნეილონის ნაძვის ხე", "ახალი წელი", "სიყვარული ყველას უნდა") და კიდევ რამდენიმე ფილმში. ზურაბ ანჯაფარიძის შუამდგომლობით მოხვდა ნოდარ ანდღულაძესთან და ჩაირიცხა თბილისის კონსერვატორიაში (1981 წელს). კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მოსკოვში, დიდ თეატრში იყო სტაჟიორად ზურაბ სოტკილავასთან. თბილისში დაბრუნების შემდეგ, ჯანსულ კახიძის მოწვევით, მისი დებიუტი შედგა ოთარ თაქთაქიშვილის "მინდიაში". პირველი მიწვევა საკუთარი კონტრაქტით ბელგიაში ჰქონდა, სადაც "ბორის გოდუნოვში" იმღერა. ამის შემდეგ ორ საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა. მოსკოვში მონაწილეობდა ლაურეატების კონცერტში, რომლის შემდეგ დიდ თეატრში მიიღო მიწვევა. დებიუტი დიდ თეატრში, 1994-95 წლების სეზონში, დონიცეტის "ლუჩია დი ლამერმურში" შედგა და მას შემდეგ თითქმის ყველა სპექტაკლში იმღერა, რომელიც კი იქ დაიდგა ("ტრავიატა", "აიდა", "ნორმა", "ბალ-მასკარადი", "ტოსკა"...).

**- ბატონო ბადრი, როგორია შემოქმედებითი ატმოსფერო დიდ თეატრში?**

- არაერთგვაროვანი. ახალგაზრდა დამწყები მომღერლებისთვის, ალბათ, საინტერესო და მნიშვნელოვანია. გარეშე თვალისთვის კი - საკმაოდ უღიმღამო. რამდენიმე სრულიად გაუმართლებელი დადგმა იყო, რომლებიც კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. მაგრამ, სამაგიეროდ არის საინტერესო გეგმები, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. მე მომიწევს სიმღერა "ოტელოში". მთავარ დირიჟორს ა. ვედერნიკოვის დიდი სიმპათიები გააჩნია ევროპული მუსიკისადმი, საკმაოდ გათვითცნობიერებულია და ფლობს ყველა იმ ენას, რაც საჭიროა თანამედროვე სცენისათვის. იგი ერთ-ერთი საინტერესო ახალგაზრდა დირიჟორია რუსეთის ფარგლებში. თუ დააცდიან, რა თქმა უნდა...

**- ახლო მომავალში რა გაქვთ დაგეგმილი?**

- ახლა მივემგზავრები შვედეთში, სადაც "ოტელოს" რეპეტიციები ჩატარდება, შემდეგ ვიმღერებ კანადაში. ვბრუნდები შვედეთში - იქ "ოტელოს" რვა სპექტაკლი ჩატარდება, ეს იქნება ჩემი დებიუტი "ოტელოში", შემდეგ ორი კონცერტი მაქვს ნორვეგიაში. მომავლის გეგმებიდან ჩემთვის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია ბათუმის ოპერის თეატრთან დაკავშირებული პროექტები. იქ მყავს მეგობრები. მალე ჩემი თხოვნით დაიდგმება ლეონკავალოს "ჯამბაზები", სადაც მე თამრიკო ჯავახიშვილთან ერთად ვიმღერებ. შემდეგ ბუდაპეშტში ვიმღერებ "სოფლის პატიოსნებაში" და "ჯამბაზებში", ბრიუსელში მექნება "აიდას" რამდენიმე დადგმა, მაქვს მიწვევა ჩინეთში, გერმანიაში და ა. შ.

**- როგორ გაჩნდა ბათუმში ახლანდელი ორი დადგმის ("აიდას" საკონცერტო შესრულება და ვერდის "რექვიემი") იდეა?**

- ერთობლივად. აქ ჩემი პარტნიორები იყვნენ მზია ნიორაძე, ირინა რატიანი, ლეგი იმედაშვილი, თამრიკო ჯავახიშვილი.

**- კიდევ როდის უნდა გელოდოთ ბათუმში?**

- თუ არაფერი შეიცვალა, დაახლოებით 10-11 დეკემბერს დაგეგმილია "ჯამბაზების" დადგმა და გეპატიჟებით.

## სექსი აღარ არის მომგებიანი თემა





კადრები სერიალიდან

სანამ თბილისელები ჯერ კიდევ ეჩვევიან ღამის ეთერში ნიუ იორკელი ქალების სექსუალური ცხოვრების გარჩევას, ნიუ იორკში ასკვნიან, რომ სექსი ფინანსურად მომგებიანი თემა აღარ არის. თანაც, ეს განაჩენი "სექსი და ქალაქის" ავტორს, ქენდის ბუშნელს გამოაქვს და თავის ახალ რომანში "ვაჭრობა" კიდეც ავრცობს მას.

ქენდისის ახალი გმირი (უფრო ზუსტად კი ანტიგმირი), ჯენი უილკოქსია "ვიქტორიაზ სეკრეთსის" მოდელი, რომელიც კარიერისთვის ნებისმიერ მამაკაცს უწვება საწოლში, მაგრამ თანდათან აღმოაჩენს, რომ მატერიალური წინსვლის ეს ჯადოსნური იარაღი ახალ საუკუნეში ძალას კარგავს. "მართალია, სექსს რაღაც-რაღაცების გასაყიდად თუ მისაღწევად დღემდე იყენებენ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ხალხს ის მობეზრდა, სექსმა აშკარად დაკარგა ძალა", - დასძენს ბუშნელი და იქვე მეორე კითხვასაც პასუხობს – მაშ, რა საშუალებას უნდა მიმართონ ქალებმა, როდესაც მათ კარიერის გაკეთება სურთ. "ქალს სექსი ვერ უშველის, თუ ჭკვიანი არ არის. ჭკუა, ბეჯითობა, გადაწყვეტილების მიღების უნარი, დამოუკიდებლობა – აი, რა ჭირდებათ მათ წინსვლისთვის. თუმცა, ვფიქრობ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ერთმანეთის თანადგომაა. ჩვენ დროში, როდესაც აღარაფერია სტაბილური და მით უფრო მამაკაცებთან ურთიერთობა, ქალი ქალს გვერდზე აუცილებლად უნდა დაუდგეს, მათ ერთმანეთი უნდა გაიტანონ და ეშველებათ", - რჩევებს იძლევა ქენდის ბუშნელი. მისი ახალი გმირიც, ჯენიც, მართალია, სექსს იარაღად ოსტატურად იყენებს, მაგრამ მაინც გრძნობს, რომ მეგობრების ყოლა აუცილებელია.

"ვაჭრობა" მალე გაუდგება "სექსი და ქალაქის" გზას. რომანზე უფლებები უკვე იყიდა ABC-მ და Touchstone Television-მა (ორივე "დისნეის" ნაწილია) და აპირებს, ტექსტი საპნის ოპერად 2004 წლისთვის აქციოს. ბუშნელის ახალი რომანი ყოველკვირეული, პიკი საათის შოუ გახდება.

რაც შეეხება, ნიუ იორკელი ქალების სექსუალურ ისტორიებს, ის უკვე ვიდეო და ციფრულ ვიდეოდისკებზე სრული სახით იყიდება. ამერიკელები კი სერიალის უკანასკნელ, მეექვსე ნაწილს უცქერიან. სეზონის ბოლოს "სექსი დიდ ქალაქში" საბოლოოდ დასრულდება.

## Reality-ის პრევიუ



დევიდ ბოუი

დევიდ ბოუის ახალი ალბომის გამოსვლამდე დაახლოებით თვენახევარი დარჩა. თუმცა, მათ, ვინც სამშაბათს საღამოს ნიუ იორკის პატარა კლუბში გამართულ კონცერტს დაესწრო, ბოუის ახალი სიმღერები უკვე მოსმენილი აქვთ. Reality – ასე ჰქვია ალბომს, რომლის ექვსიოდე სიმღერა, ძველ ჰიტებთან ერთად, მუსიკოსმა 600-მდე ფანს შეუსრულა. კლუბში საოცრად ინტიმური ატმოსფერო შეიქმნა, სცენასთან ახლოს მდგომ სტუმრებს ბოუი შესვენებებზე მეგობრულად ესაუბრებოდა კიდეც...

ალბომის გამოსვლისთანავე მომღერალი ტურნესაც იწყებს. პირველი გაჩერება 7 ოქტომბერს კოპენჰაგენშია, დეკემბრიდან კი ჩრდილო ამერიკაში გადავა.

## როგორ ვითარდება ტურიზმი

გუშინ ბილბაოში ე.წ. "ჰერკულესის თამაშები" დაიწყო. მძლეთამძლე ბასკები ერთმანეთსა და სტუმრებს საკუთარ ძლიერებას უმტკიცებენ. პირველი დღე შეშის მჭრელ კაცებს მიეძღვნათ. მათ 112სმ-იანი ხის ნაჭრები ბეჯითად ჩეხეს. დღეს და ხვალ კი ბილბაოელები ერთმანეთს უზარმაზარი ქვების აწევაში შეეჯიბრებიან. შარშანდელმა რეკორდსმენმა 329 კილოგრამიანი ქვა ასწია, წელს ის რეკორდის გაუმჯობესებას და 333 კილოგრამიან წონის ქვასთან აპირებს შებმას. ეს სანახაობა ბილბაოში ჩასულ ტურისტებს ყველაზე მეტად მოსწონთ. "ჰერკულესის თამაშებზე" დასასწრებად ხომ ქალაქში უამრავი უცხოელი ჩადის.

## წლის მოდური სახელები

პრესტიჟულმა ბრიტანულმა ჟიურიმ, ჟურნალ "ვოგის" რედაქტორის თაოსნობით, წლის ყველაზე მოდური სავაჭრო ნიშნები გამოავლინა. სულ 60 ფირმა შეირჩა, თუმცა, პირველი ადგილები AGENT PROVOCATEUR-მა, "ალექსანდრ მაკქუინმა, "ქლომ", "მეთიუ ვილიამსონმა", "შისეიდომ" და "თოფშოფმა" დაიკავეს. ჟიურის მოტივი ასეთი იყო: "თითოეულ სავაჭრო ნიშანს უნდა მოეხერხებინა კლიენტის გემოვნების დახვეწა და მათი სტილის განსაზღვრა". "ვოგის" რედაქტორის აზრით, წელს ეს მშვენივრად შეძლო მთელ ევროპაში ძალზე პოპულარულმა H&M-მაც.

# ადამიანის სხეულის დიდება

ლენი რიფენშტალი 101 წლისაა

ანა კორძაია-სამადაშვილი

...მისი "ოლიმპია" ყველა დროის საუკეთესო ფილმების ნუსხაშია შესული. მეოცე საუკუნის 100 უდიდეს ხელოვან ქალთა შორის ლენი რიფენშტალიც დაასახელეს. მის მიმართ ინტერესი მსოფლიოს დღესაც არ უნელდება, და ის "გერმანიის ყველაზე სადავო ხელოვანის" სტატუსს ინარჩუნებს. დღეს ბერლინელი მოცეკვავე, ფოტოგრაფი, რეჟისორი და მწერალი, ლენი რიფენშტალი, 101 წლის გახდა.

ერთის მხრივ, ამ ქალს ადოლფ ჰიტლერის თანამებრძოლობას ვერ პატიობენ, მეორეს მხრივ, მისი შემოქმედება გულგრილს არავის ტოვებს. ყველაზე აგრესიულად ყოველთვის მშობლიური გერმანია უტევდა ხოლმე, ახლა კი, ლეგენდარული ლენის დაბადების დღესთან დაკავშირებით, ბერლინში რიფენშტალის ფოტონამუშევრების გამოფენა გაიხსნა და ცალკეული ექსპონატები ათეულ ათასობით ევროდ იყო გაყიდული. თავად ქალბატონი რიფენშტალი გახსნაზე არ გამოცხადებულა - ავადმყოფობა მოიმიზეზა.

შარშან, როცა ერთი საუკუნე შეუსრულდა, ლენიმ დაიჩივლა, გული გამიწყალესო.

"ცუდი არავისთვის არაფერი გამიკეთებია, არავინ დამიჩაგრავს, სიავე არავისზე მითქვამს, ებრაელი მეგობრები ომამდეც მყავდნენ და ომის შემდეგაც. რისთვის უნდა ვიხდიდე ბოდიშს?"

ლენის ხელოვნება და მისი დრო: მსოფლიო ვერაფრით გაერკვა, ხელოვანი იყო (და არის) ლენი თუ უბრალოდ ფაშისტური ესთეტიკის მქადაგებელი პარტიული მოღვაწე. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ ნურას უკაცრავად! გერმანიის პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან რეჟისორ ქალს, უკვე ორმოცზე მეტი წელია, აღარაფერი გადაუღია, რადგან 30-იან წლებში გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის შესახებ გადაიღო დოკუმენტური ფილმი. ადამიანის სხეულის განდიდება მაშინ ფაშისტური ესთეტიკის დამკვიდრების მცდელობად იქნა მიჩნეული. "ნაცისტების მსვლელობების პათოსისა და ძალის გადმოცემით რიფენშტალმა ჰიტლერის კულტის განმტკიცებას და მთელი ერის შეცდენას შეუწყო ხელი".



ლენი, 1923 წელი



"ოლიმპია"

"ნების ტრიუმფმა" 30-იან წლებში გერმანული ნაციზმის ჩამოყალიბებაში, მართლაც, დიდი როლი შეასრულა. მისი წყალობით მრავალი ათასი ადამიანი გახდა ჰიტლერისა და მისი პარტიის მომხრე და, ალბათ, დღესაც რომ ფართო ეკრანებზე გაუშვან, კვლავ მრავალი ადამიანის მონუსხვას შეძლებს. თავად ლენი ამტკიცებს, 1934 წელს გადაღებული "ნების ტრიუმფი" ფაშისტური პროპაგანდა არ ყოფილა, წმინდა წყლის ხელოვნება იყოო (უნდა აღინიშნოს, რომ ფილმს უდიდესი მხატვრული ღირებულება აქვს – ამას ყველაზე გააფთრებული მოწინააღმდეგეებიც ვერ უარყოფენ). მისი თქმით, ის მხოლოდ იმას იღებდა, რასაც ხედავდა, და არც პარტიის წევრი ყოფილა და არც პოლიტიკა აინტერესებდა. "რომ მცოდნოდა, რა დღე დამადგებოდა, ნამდვილად არ გადავიღებდი," ყვებოდა ლენი. "არ გადამაყოლეს?!" სხვათა შორის, ჭორად მსმენია და წამიკითხავს, რომ "ნების ტრიუმფის" შემდეგ ლენი საბჭოთა კავშირშიც მოიწვიეს, სტალინის შესახებ ფილმის გადასაღებადო. დანამდვილებით ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა თავად ამბავი სულაც არაა გასაკვირი.

ამავე დროს, მას არასოდეს უთქვამს უარი იმაზე, რომ ჰიტლერის პიროვნებით იყო მოხიბლული. სამაგიეროდ, ფიურერთან სასიყვარულო თუ სექსუალური ურთიერთობის ჭორს კატეგორიულად უარყოფს. ლენი იფიცება, რომ არც მასობრივი მკვლელობების და არც დეპორტაციების შესახებ სმენოდა რამე, და როცა 1945 წელს ცნობილი "სტატისტების საქმე" აღიძრა, სასამართლომ ხელოვანი გაამართლა კიდეც (შეგახსენებთ: საკონცენტრაციო ბანაკებიდან მოყვანილ ბოშებს ლენი რიფენშტალის ფილმში სტატისტებად უნდა ემუშავათ, რის შემდეგაც ისინი ბანაკებში დააბრუნეს, თუმცა რეჟისორი გათავისუფლებას დაჰპირდა). მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალ-სოციალიზმის ბრალდება მოხსნილი ჰქონდა, საზოგადოება ლენის მიმართ მაინც აგრესიულად განწყობილი დარჩა, და ომის დამთავრების შემდეგ მას ზუსტად 50 სასამართლო პროცესში მოუწია მონაწილეობა.

პოლიტიკა და თუნდაც ფიურერის რასისტული განწყობა ლენის საერთოდ ნაკლებად ადარდებდა. მისთვის ის ზრდილობიანი და ყურადღებიანი ადოლფი იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ რასიზმის გამო ერთხელ ხმამაღლა ეჩხუბა კიდეც, და მაშინ ჰიტლერმა პირდაპირობა შეუქო, მაგრამ ესეც ლენის პოლიტიკური მრწმსის გამო არ მომხდარა: თურმე, ბერლინის 1936 წლის ოლიმპიადის შესახებ გადაღებული ფილმი "ოლიმპია" ჰიტლერს დიდად არ მოსწონებია, რადგან მასში აფრო-ამერიკელი სპორტსმენი "პოზიტიურად იყო გაშუქებული", და ლენის ეწყინა. არადა, ოლიმპია თუ გინახავთ, დამეთანხმებით – ეს ხალხებისა და სილამაზის ზეიმია, სხეულის მშვენიერების საგალობელი და მართლაც ოსტატური ნამუშევარი. 1938 წელს მას არამარტო ბერლინი, არამედ მთელი ევროპაც აღფრთოვანებით შეხვდა.

"მე მხოლოდ მშვენიერება მაინტერესებს!" დღესაც ამ სიტყვებით პასუხობს ლენი რიფენშტალი მათ, ვინც პოლიტიკურ დანაშაულებს დებს ბრალად. მას მხოლოდ ხელოვნება აინტერესებს და მეტი არც არაფერზე აგებს პასუხს. ისე, ალბათ, ჩვენთვისაც აჯობებდა, ლენი რიფენშტალის განსჯა მოსამართლეებსა და ისტორიას მივანდოთ და ჩვენ კი მისი ხელოვნებით და ადამიანის სხეულის ზეიმით დავტკბეთ.

## TV პროგრამა
22 აგვისტო

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.25** სერიალი "კომპიუტერული ომები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.30** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.00** სერიალი "შავი ზეცა" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 03.10** კურიერი **18.20** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი "მაშველები" **19.40** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **00.10** მხ.ფილმი "უცხო". მთ. რ-ში: სიგურნი უივერი, ლენს ხენრისკენი. **03.30** მხ.ფილმი "დელიკატესები". მთ. რ-ში: ტომინიკ პინიონი.

### პირველი არხი

**08.00** მოამბე **08.15** დოკ. სერიალი "ყველაზე ყველაზე საკვირველი" **09.00** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **09.25** ბენი ჰილი **09.55** მხ. ფილმი "იდიოტების აღლუმი" **11.30** დოკ.სერიალი "მოდა ყველასათვის" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **13.05** დოკ. სერიალი "სატელევიზიო ჟურნალის ისტორია 3" **14.00** სერიალი "სასახლე მზეში" მე-5 ს. **15.15** მხ. ფილმი "ფრენის სიჩქარე" **16.45** სერიალი "ძილის წინ" **17.00** დოკ. სერიალი "მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო" **17.20** 50-50 **18.00** "ვესტნიკი" **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** "ბენი ჰილი" **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** მაგთიტრონი **21.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **22.05** მრავალსახეობა **22.45** ტელესერიალი "ძილის წინ" **23.20** მხ. ფილმი "წითელი დრაკონი" **00.40** დოკ. სერიალი "ყველაზე ყველაზე საკვირველი".

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "დამიბრუნდი" მთ. როლებში ჯეიმს ბელუში, მინი დრაივერი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** "ზრავო" "მიტოვებული" მთ. რ-ში კეტი ხოლმსი. **02.15** "ღამურა" "პოლიციელები ჰოლივუდიდან". მთ. რ-ში ხარისონ ფორდი. **03.45** პაუზის გარეშე.

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი "მე შენ გკარგავ" **21.00** საქართველო არის ესე **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** მხ. ფილმი "ჯეინ ეირი".

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "ყბები" **14.00** დოკ. ფილმი "ნაციზმი **15.00** მხ.ფილმი "რაზმი ზღვის კატები" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ამერიკული დრაკონი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მოჩვენება" **23.00** დოკ. ფილმი "ნაციზმი".

### იბერია

**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "ოტელი ამერიკა" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 21.55, 23.30** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.45, 19.45** მუსიკა **20.00** მიუზიკჰოლი **22.15, 23.00** დიალოგი **00.55** მხ. ფილმი "კოდი უცნობია" **02.10** ღამის ფილმი.

### მეცხრე არხი

პარასკევი 2208 **09.25** მულტფილმი "ტომი და შინა" მე-13 ს. **09.30** სერიალი "ქავინქტონ კროსი" მე-6 ს **10.20, 15.20, 16.20, 17.20, 19.50** მუსიკა **11.00** მხ. სერიალი "პოლიციელი ქალი" **12.00** "ცხელი ცხრიანი" **12.40** რუს. მხ. ფილმი "კარგი საძაგელი და ცუდი საძაგელი". **14.15** "ტელემეტრი" (განმ.) **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ქართული ფეხბურთი" **15.30** სერიალი "ახალი პროფესიონალები" მე-8 ს. **16.30** დოკ. სერიალი "ეს სანახაობაა" 1 ნაწ. **17.50** სერიალი "ქავინქტონ კროსი" ქე-7 ს., **18.40** მულტსერიალი "ტომი და შინა" მე-14 ს. **19.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **20.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" **21.10** სერიალი "ახალი პროფესიონალები" მე-9 ს. **22.00** "ღამის მატარებელი" (განმ.) **00.20** მხ. ფილმი "ორომტრიალი".

### იმედი

**09.00, 10.55, 12.00, 13.00, 13.55, 15.00, 15.55, 17.00, 17.55, 19.00, 20.55, 22.00, 02.30** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "იუდას ქალი" 105-ე ს. **10.30** სპ. პროგრამა "ასი" **11.05** თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" **12.10** სერიალი "გოგონები ესპანეთის მოედნიდან" მე-5 ს **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "გრაფი მონტე - კრისტო" 1 ს. **15.15** მხ. ფილმი "მკვლელის ინსტიქტი" **17.30** "მულამები" **18.05** სერიალი "იუდას ქალი" 106-ე ს. **19.30** სერიალი "გოგონები ესპანეთის მოედნიდან" მე-6 ს. **20.30** ლარის მახე **21.05** სერიალი "გრაფი მონტე - კრისტო" მე-2 ს. **22.40** დოკ. ფილმი "იმედის ქალაქისკენ" **22.55** თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" **23.55** სერიალი "ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" 23-ე ს. **00.50** არტფილმი "სიცოცხლე - სასიკვდილო სენი".

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00,** საინფორმაციო გამოშვება **09.10** კომედია "სამი მამაკაცი და პატარა ლედი" **10.40** მუსიკა **11.10** მოკლემეტრაჟიანი ფილმები "გრაფი" "ლომბარდი" **12.10** კომედია "საოჯახო გეგმა" **13.45, 19.45** მუსიკა **14.10** მხატვრული ფილმი "ლეგენდა ენეოსზე" **16.20** მულტსერიალი **17.10** მხატვრული ფილმი "ლომის წილი" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.40 Пресс-папье 20.15** კომედია "ბედნიერი ბილეთი" **22.40 Пресс-папье 23.00** "ალტერნატივა" (ავტორი ნ.რატიშვილი) **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** ფანტასტიკა "მეექვსე დღე" **03.40** დოკუმენტური ფილმი **04.10** დრამა "მეფე ცოცხალია".

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** კომპიუტერული ტექნიკა **10.10** მელოდია . **10.30** მობილურები **11.15** დისნეი და მისი მეგობრები **11.50** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **12.20** "მელოდია" **12.35** კომპიუტერული თამაშები **12.40** მელოდია" **12.55** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.05** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.30** მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები **20.45** კომპიუტერული თამაშები **20.50** დოკ.ფილმი "ბრძოლა წესების გარეშე" **21.05** აუდიო-ვიდეოტელე **21.55** "კინოკლუბი " - "მზის იმპერია". ვესტერნი . რეჟისორი: მაიკლ კინი. როლებში- მირანდა რიჩარდსონი, ჯონ მალკოვიჩი. **00.15** მელოდია **00.35** მობილურები.

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 19.55** Сериал "Земля любви, земля надежды" **11.10** Сериал "Ребята из нашего города" **12.05** "Сами с усами" **12.40** Сериал "Твинисы" **13.15** Худ.фильм "Русское поле" **15.00** Шоу "Город женщин" **16.15** Худ.фильм "Законный брак" **18.00** Сериал "На углу, у Патриарших 2" **19.20** Док.фильм "Последняя жертва наркома Ежова" **20.55** "Поле чудес" с Л.Якубовичем **22.00** "Время" **22.30** "Золотой Граммофон" **23.30** Худ.фильм "Вор" **01.25** Худ.фильм "Хороший человек в Африке" **03.15** "Реальная музыка"

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45** Сериал "Каменская" **10.45** Худ.фильм "Большая перемена" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** "В поисках приключений" **13.50** Детектив "Марш Турецкого 3" **14.50, 17.30** "Вести. Дежурная часть" **15.30** "Моя семья" **16.30** "Комната смеха" **18.10** Сериал "Гражданин начальник" **19.05** Сериал "Линия защиты" **20.00** "Аншлаг" **21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55** Большой праздничный концерт "Все звезды для любимой" **00.30** Худ.фильм "От заката до рассвета 3" **02.25** Комедия "Мальчики и девочки" **04.15** "Дорожный патруль" **04.35** Сериал "От Земли до Луны" **05.35** Мелодрама "Голливудские жены"

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.50** Золотой фонд НТВ. "Намедни-2000" **11.00** "Сегодня утром" **11.25** "Путешествия натуралиста" **12.00** "Квартирный вопрос: интерьер для любимой" **13.00, 16.00, 18.00, 20.00** "Сегодня" **13.30** Ток-шоу "Страна советов" **14.35** Сериал "Крот" **15.50** "Криминал" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.25** Сериал "Скорая помощь 3" **19.25** Док.фильм "Лестница в небо" **20.35** Сериал "Улицы разбитых фонарей" **21.40** Худ.фильм "Белые ночи" **00.25** Супербокс: Хулио Сезар Чавес против Тони Лопеса **01.20** Концерт, посвященный Дню государственного флага России **03.05** Сериал "Солдаты удачи"

# „როლინგსტოუნზი" „როლინგსტოუნზის" მიხედვით

თამარ სუხიშვილი



"ყველაზე დიდი როკ-ჯგუფი მსოფლიოში"

გამომცემლობა Weidenfeld Nicolson-მა გამოსცა წიგნი, რომელიც, პირველ რიგში, მუსიკის მოყვარულებს დააინტერესებს. წიგნს ასეთი სახელწოდება აქვს: „როლინგ სტოუნზის მიხედვით" (According To Rolling Stones). ეს არის ლეგენდარული ბრიტანული როკ-ჯგუფის ბიოგრაფია და რაც ყველაზე საინტერესოა, როკ-მუსიკოსების თავგადასავლებიან ცხოვრებას თავად ჯგუფის წევრები გვიამბობენ. მართალია, „როლინგ სტოუნზი" ყოველთვის საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო და მასზე ათასობით სტატია და არაერთი წიგნია დაწერილი, ბევრი რამ მუსიკოსების შესახებ მკითხველმა ჯერ კიდევ არ იცის. წიგნში თხრობა ძირითადად პირველ პირში მიდის, უფრო ზუსტად, აქ ოთხი მთხრობელია: მიკ ჯაგერი, კიტ რიჩარდსი, ჩარლი უოტსი და რონი ვუდი. მათგან მკითხველი ბევრ ახალსა და საინტერესოს გაიგებს; „სტოუნზები" გვიამბობენ, თუ როგორ შეცვალა მუსიკამ მათი ცხოვრება, როგორი გავლენა იქონია მათმა პირადმა ცხოვრებამ „როლინგსტოუნზის" შემოქმედებასა და მთელი XX საუკუნის როკ-მუსიკაზე და ა.შ.

რას აღარ გაიგებთ „როლინგსტოუნზის მიხედვით". აქ უამრავი ისტორიაა თავმოყრილი, თავშესაქცევიც და სევდიანიც. ოთხი მთხრობელი დაუზარლად იგონებს წარსულს, ზოგჯერ ფანტაზიორობს კიდეც. მათი ნაამბობის თანახმად, „სტოუნზების" ცხოვრება სავსე იყო ბედნიერი მოულოდნელობებითა და სიურპრიზებით, მაგრამ, ამავდროულად, ტრაგიკულიც იყო. რაღა თქმა უნდა, ჯაგერი, რიჩარდსი, უოტსი და ვუდი ყველაზე გატაცებით როკ-მუსიკოსების ტრივიალურ თემებზე - ქალებზე, ღვინოსა და ნარკოტიკებზე საუბრობენ. ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბედნიერ შემთხვევად კი ჯაგერისა და რიჩარდსის ლონდონურ შეხვედრას ასახელებენ: მიკ ჯაგერი და კიტ რიჩარდსი დაწყებით სკოლაში ერთად სწავლობდნენ. მერე მიკი ლონდონის ეკონომიკის სკოლაში სწავლობდა, კიტი კი - ხელოვნების კოლეჯში. 1960 წელს ლონდონში შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. კიტთან შეხვედრა რომ არა, მიკი შესაძლოა, ბანკირი გამხდარიყო და მაშინ, ალბათ, აღარც „როლინგსტოუნზი" იარსებებდა.

მიკ ჯაგერსა და კიტ რიჩარდს მალე ბრაიან ჯოუნსი შეუერთდა; მაგრამ ჯოუნსმა ჯგუფი 1969 წელს მიატოვა. ერთი თვის შემდეგ ბრაიანი გარდაიცვალა, საკუთარ აუზში მკვდარი იპოვეს. ერთნი ამბობდნენ, რომ მისი სიკვდილი ნარკოტიკების ბრალი იყო, მეორენი კი მკვლელობის ვერსიას უჭერდნენ მხარს. დაღუპული „სტოუნზის" ხსოვნის პატივსაცემად მიკ ჯაგერმა ჰაიდ პარკში გამართულ კონცერტზე შელის ლექსი წაიკითხა, მერე გახსნა ყუთი, საიდანაც უამრავი პეპელა ამოფრინდა...

80-იანი წლების შუა ხანებში „როლინგსტოუნზის" წევრებს უკვე „მოუსვენარ მობერებულ როკერებს" ეძახდნენ. საგაზეთო სტატიებში ხშირად სარკასტულადაც კი მოიხსენიებდნენ ხოლმე ჯგუფს, განსაკუთრებით მიკ ჯაგერის სასიყვარულო თავგადასავლებზე ხალისობდნენ...

უკვე კარგა ხანია „როლინგსტოუნზი" გასტროლებზეა წასული. თუმცა, მისი რამდენიმე კონცერტი გადაიდო. ოთხშაბათს ამსტერდამში დაგეგმილი კონცერტი ჩაიშალა, მანამდე კი „სტოუნზებმა" ესპანელ ფანებს გაუცრუეს იმედები. მიზეზი ორივე შემთხვევაში ჯაგერის ავადმყოფობა გახლდათ, მუსიკოსს ყელი სტკიოდა, საბოლოოდ, მას ანგინა აღმოაჩნდა და ექიმმა კატეგორიულად აუკრძალა სცენაზე გამოსვლა.

თუმცა, გასულ კვირას ჯგუფმა უკვე მოასწრო ჰოლანდიაში ხუთი კონცერტის გამართვა, ამ კონცერტებს 180 ათასი მაყურებელი დაესწრო. ამსტერდამის კონცერტი კი სექტემბრისთვის გადაიდო, ისევე როგორც ესპანეთისა. „ძალიან ვწუხვართ, ჩვენი კონცერტი რომ გადაიდოო," - მიმართა მსმენელს მიკ ჯაგერმა. ჯაგერს იმედი აქვს, რომ მალე გამოჯანმრთელდება და ლონდონში თვიქენჰემის სტადიონზე 23 აგვისტოს დაგეგმილ კონცერტს ჩაატარებს.

ასე რომ, კონცერტების გადადების მიზეზი სრულიად ბუნებრივი იყო, პრესაში კი სრულიად უმიზეზოდ გამოკრთა დამცინავი ფრაზები ბებერ მუსიკოსზე, რომელმაც რამდენიმე კონცერტი ჩაშალა; ამასთან ერთად, გაჩნდა სტატიებიც „დანაოჭებულ როკერზე", რომელიც „თავის სამ თანატოლთან ერთად სცენაზე ხტუნვასა და სიცოცხლით ტკბობას არ იშლის".

პერიოდულად პრესაში გაჟღერებული დამცინავი გამოთქმები „როლინგსტოუნზის" წევრებს დიდად არ აღელვებს. მათ არასოდეს ღალატობთ იუმორის გრძნობა და ზემოხსენებულ ახალ ავტობიოგრაფიულ თხზულებაშიც ხშირად არათუ იუმორით, არამედ ირონიითა და სარკაზმითაც ჰყვებიან საკუთარ თავზე.



ახალი წიგნი
















## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.